# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან • ფასი 1,5 ლარი

№151 (9982) 2025 წლის 12 ნოემბერი, ოთხშაბათი


## დიდი თაღლითი გივი წულეისკირი და სხვები

### კორუფციის კვალზე



## ხელმა ხელი დაბანა და... სახელმწიფოს ათასები წაღლიტეს!

იხ. 2 გვ.



### სამტრედია-გრიგოლეთის ხიდის ჩანგრევის გამო ლევან კუპატაშვილი დააკავეს!

### გამყალბებელი „რიკო ექსპრესი“

4 5

### მეცნიერების საერთაშორისო დღე

## სინათლე, რომელსაც შეუძლია შეცვალოს სამყარო...

## ვიდრე ერის პირქვე დამხობა დაიწყებოდეს

იხ. 3 გვ.





### რა შეიძლება მოჰყვეს საჯარო სექტორში ერთზე მეტ ადგილზე დასაქმების აკრძალვას?

8

## სოფელი მელოური უნდა აღორძინდეს!



იხ. 6 გვ.

## თურქული თვითმფრინავის ტრაგედია საქართველოს ცაში...

### მიხეილ ყაველაშვილი:

### უმძიმეს წუთებში თურქი ხალხის გვერდით ვართ

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ ყაველაშვილი თურქული სამხედრო სატვირთო თვითმფრინავის კატასტროფის გამო მწუხარებას გამოთქვამს,** – განცხადებას საქართველოს პრეზიდენტი სოციალ ქსელში აქვეყნებს.

„ვიზიარებთ თქვენს მწუხარებას საქართველოში თურქული სამხედრო სატვირთო თვითმფრინავის ჩამოვარდნის შედეგად ადამიანთა დაღუპვის გამო. ამ თავზარდამცემმა ტრაგედიამ უკიდურესად დაგვამწუხრა და, რა თქმა უნდა, უმძიმეს წუთებში, თურქი ხალხის გვერდით ვართ“. მომხდარზე ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ. თურქეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, ბორტზე ეკიპაჟის წევრების ჩათვლით 20 ადამიანი იმყოფებოდა.

### აზერბაიჯანისა და საქართველოს პრემიერებმა სატელეფონო საუბარი გამართეს

**აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრმა ალი ასადოვმა სატელეფონო საუბარი გამართა თავის ქართველ კოლეგასთან ირაკლი კობახიძესთან, რა დროსაც მხარეებმა თურქული სამხედრო თვითმფრინავის კატასტროფის საკითხები განიხილეს,** – ინფორმაციას აზერბაიჯანული მედია ავრცელებს.

იხ. 11 გვ.



### დიდი ოდენობით თანხების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე დააკავეს ,,სფერო ჰოლდინგის'' დამფუძნებელი გივი წულეისკირი, ,,სფერო ინვესტის'' დირექტორის მიმართ კი სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო

# დიდი თაღლითი გივი წულეისკირი და სხვები

**თაღლითობის** წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს წარმოებაში არსებულ „სფერო ჰოლდინგის" საქმეზე, მოქალაქეთა კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ მოტყუებით დაუფლების ფაქტზე დაკავებულია „სფერო ჰოლდინგის" დამფუძნებელი გივი წულეისკირი, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო „სფერო ინვესტის" დირექტორის **გიორგი მურუსიძის** მიმართ.

ბრალდებულთა ქმედებების შედეგად, მოქალაქეებისთვის მიყენებული ზიანი 12 მილიონ ლარს აღწევს.

**„შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ გივი წულეისკირმა და გიორგი მურუსიძემ ფიზიკური პირებისაგან დიდი ოდენობით თანხების მოტყუებით დაუფლების მიზნით შპს „სფერო ჰოლდინგის" 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დააფუძნეს იურიდიული პირი – „სფერო ინვესტი", რომლის დირექტორად გაფორმდა გიორგი მურუსიძე, თუმცა საწარმოს ფაქტობრივ მართვას გივი წულეისკირი და გიორგი მურუსიძე ერთობლივად ახორციელებდნენ.**

**გივი წულეისკირმა და გიორგი მურუსიძემ 2022 წლის თებერვლიდან 2025 წლის ოქტომბრამდე, „სფერო ინვესტის" სახელით, ფიზიკურ პირებთან გააფორმეს „უძრავი ქონების დროებით საცხოვრებლად გადაცემის", აგრეთვე ე.წ. კაპიტალდაბანდების შესახებ ხელშეკრულებები. კერძოდ: უძრავი ქონების დროებით საცხოვრებლად გადაცემის შესახებ ხელშეკრულების თანახმად, ფიზიკურ პირებს „სფერო ინვესტის" ანგარიშზე შეჰქონდათ თანხები, რის შემდეგაც „სფერო ინვესტი" მათთვის მესამე პირებისაგან ქირაობდა ბინებს. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ ორგანიზაციას სრულად უნდა დაებრუნებინა მოქალაქეების მიერ შეტანილი თანხები. მიუხედავად ამისა, „სფერო ინვესტმა" შეწყვიტა ქირის საფასურის გადახდა, არ დააბრუნა თანხები, რის გამოც ასეულობით მოქალაქე საცხოვრებლის გარეშე დარჩა.**

**„კაპიტალდაბანდების შესახებ" ხელშეკრულების საფუძველზე, მოქალაქეები „სფერო ინვესტის" ანგარიშზე რიცხავდნენ თანხებს, კომპანიას კი მათთვის უნდა გადაეცა ყოველთვიური სარგებელი, ხოლო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ მოქალაქეთა მიერ შეტანილი თანხები სრულად უნდა დაებრუნებინა, რაც არ განახორციელეს. გივი წულეისკირმა და გიორგი მურუსიძემ ზემოაღნიშნული ხერხით 244 მოქალაქეს ორგანიზაციის საბანკო ანგარიშზე ჩაარიცხინეს დიდი ოდენობის თანხები, თავად კი არ შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებები და 12 მილიონამდე ლარს მოტყუებით დაეუფლნენ. გამოძიების მიმდინარეობისას დაზარალებულთა რაოდენობა და ზიანის მოცულობა, შესაძლოა, გაიზარდოს.**

**აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულ პირებს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა" და მესამე ნაწილის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად ცხრა წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. პროკურატურა ბრალდებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით სასამართლოს მიმართავს. ამასთან, ჯგუფის ერთი წევრის მიმართ კანონით დადგენილი წესით გამოცხადდება ძებნა.**

**ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ თაღლითობის საქმეების ეფექტიანი გამოძიების უზრუნველყოფა საქართველოს პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. დაზარალებულთა კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით მსგავსი კატეგორიის დანაშაულებზე მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკა გატარდება".**

**საქართველოს პროკურატურა. 11 ნოემბერი, 2025**



# არ გრცხვენიათ, ყვარლელო ,,ბიჭებო''?!

**ნიკა ზაუტაშვილსა და ყვარლის მერის მოადგილეს ლევან გელაძეს შორის მომხდარი დაპირისპირების ფაქტზე, სამართალდამცავებმა ინციდენტში მონაწილე სამივე პირი დააკავეს.**

**„შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა სამი პირი: 1985 წელს დაბადებული ნიკა ზაუტაშვილი,1982 წელს დაბადებული გივი ზაუტაშვილი და 1981 წელს დაბადებული ლევან გელაძე ძალადობის ბრალდებით დააკავეს.**

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 8 ნოემბერს, ყვარელში, ყოფით საკითხზე დაწყებული კონფლიქტისას, ნიკა ზაუტაშვილი, მისი ძმა – გივი ზაუტაშვილი და ლევან გელაძე, ერთმანეთს ჯერ სიტყვიერად, შემდგომ კი ფიზიკურად დაუპირისპირდნენ, ამავე დაპირისპირებისას ნიკა ზაუტაშვილმა ლევან გელაძეს ბლაგვი საგნის გამოყენებით სახის არეში დაზიანება მიაყენა. პოლიციამ სამივე მათგანი ბრალდებულის სახით დააკავა. ძალადობის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით მიმდინარეობს".

# ხელმა ხელი დაბანა და... სახელმწიფოს ათასები წაღლიტეს!

**საგამოძიებო სამსახურმა გრანტის სახით გამოყოფილი დიდი ოდენობით ფულადი თანხის ჯგუფურად თაღლითურად დაუფლების მორიგი ფაქტი გამოავლინა**

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური აქტიურად აგრძელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ გრანტის სახით გამოყოფილი თანხების მართლზომიერად ხარჯვის კანონიერების შესწავლას.**

გამოძიების ამ ეტაპზე გრანტის სახით გამოყოფილი დიდი ოდენობით ფულადი თანხების ჯგუფურად თაღლითურად დაუფლების მორიგი ფაქტი გამოვლინდა და სისხლის სამართლის საქმეზე პასუხისგებაში მიცემულია ოთხი პირი.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურასთან კოორდინაციით ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ გრანტის სახით გამოყოფილი დიდი ოდენობით ფულადი თანხების ჯგუფურად თაღლითურად დაუფლების ფაქტზე შპს „ელიტმშენის" და კოოპერატივ „რკ ქართული ბოსტნეულის" ხელმძღვანელი პირები დააკავეს. დანაშაულებრივი ჯგუფის ერთ წევრს ბრალი დაუსწრებლად წარედგინა, ასევე ერთი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო.

დადასტურებულია ბრალდებულების მხრიდან ბიუჯეტის კუთვნილი 430 200 ლარის თაღლითურად დაუფლების, 167 918 ლარის ფიქტიური დღგ-ის აქტივის შექმნისა და 2 000 ლარის ბიუჯეტიდან მოტყუებით დაუფლების ფაქტები.

გამოძიებით დგინდება, რომ კოოპერატივი და დაქირავებული კომპანია ერთმანეთთან შევიდნენ გარიგებაში, კერძოდ: (ა)იპ ,,სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოდან" თანადაფინანსებისათვის გამოყოფილი ბიუჯეტის კუთვნილი ფულადი თანხის 430 200 ლარის თაღლითურად დაუფლების მიზნით შპს „ელიტმშენმა" კოოპერატივ „რკ ქართულ ბოსტნეულს" გამოუწერა ყალბი ელექტრონული საგადასახადო ანგარიშფაქტურა 1 100 800 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულებაზე და შესაბამისი ყალბი სასაქონლო ზედნადები სასათბურე მეურნეობის მოსაწყობად საჭირო სხვადასხვა დასახელების საქონლის მიწოდების შესახებ, თუმცა არანაირი სამუშაო არ შესრულებულა.

თავის მხრივ, ყალბი საგადასახადო ანგარიშ ფაქტურის გამოწერის გზით კოოპერატივმა მიიღო დღგ-ის ფიქტიური ჩათვლა 167 918 ლარის ოდენობით, საიდანაც დირექტორმა და გამგეობის თავმჯდომარემ მოტყუებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაიბრუნეს დღგ-ის თანხა 2000 ლარი და დამატებით ცდილობდნენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დღგ-ის ზედმეტობის თანხის ფიქტიური აქტივის, 100 000 ლარის დაბრუნებას, რაც საგამოძიებო სამსახურის დროული ჩართულობით ვერ განახორციელეს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, 19-180-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, 210-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით.

# სამტრედია-გრიგოლეთის ხიდის ჩანგრევის გამო საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე დააკავეს!



**საქართველოს პროკურატურამ სამტრედია-გრიგოლეთის დამაკავშირებელ ავტომაგისტრალზე 2023 წელს ჩატეხილი ხიდის საქმეზე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება-გამოყენების, დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლებისა და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დიდი რაოდენობის თანხის გაფლანგვის ფაქტზე 5 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო.**



ამის შესახებ კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის დეპარტამენტის უფროსმა, მალხაზ კაპანაძემ გენერალურ პროკურატურაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. მისი ინფორმაციით, მათ შორის, დაკავებულია საავტომობილო დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე, **ლევან კუპატაშვილი.**

# გამყალბებელი „რიკო ექსპრესი"

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი ფულის შენახვისა და გასაღების ფაქტზე, ორი პირი დააკავეს.**

უწყების ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ **ბრალდებულებმა, მატერიალური სარგებლის უკანონო მიღების მიზნით, ქვემო ქართლის რეგიონში არსებულ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „რიკო ექსპრესის" ფილიალებში გაასაღეს, ჯამში, 3000 აშშ დოლარის ოდენობის, 60 ცალი ყალბი 50 აშშ დოლარიანი კუპიურა. „საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ყალბი კუპიურები სრულად იქნა ამოღებული.**

**გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც სასჯელის სახით 7-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს",** – წერია ინფორმაციაში.





**არაბთა გაერთიანებული საემიროების ფირმის ინვესტიცია საქართველოში, კერძოდ, თბილისის მიმდებარე ტერიტორიაზე და გონიოში თანამედროვე ტიპის (ცათამბჯენების ჩათვლით) საცხოვრებელი სახლების, სპორტული და კულტურული ინფრასტრუქტურის მშენებლობას გულისხმობს. მოგების 67 პროცენტი დარჩება არაბულ ფირმას, დანარჩენი 33 პროცენტი — საქართველოს სახელმწიფოს.**

**დღევანდელ საქართველოში უზარმაზარი აჟიოტაჟია — ჩვენმა ხელისუფლებამ თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყნის, არაბთა გაერთიანებული საემიროების ერთი უმდიდრესი სამშენებლო ფირმა საქართველოში საკმაოზე მეტად სოლიდური თანხის — ექვსი მილიარდი დოლარის — ინვესტიციაზე დაითანხმა. შეთანხმებას ოფიციალურად ხელი უკვე მოეწერა.**

**დარწმუნებული ვარ, მკითხველთა უმრავლესობამ შესანიშნავად იცის, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის (ეშმაკი ხომ მუდამ ფხიზლობს!) ამ არცთუ ძველთაძველი ტერმინის მნიშვნელობას კიდევ ერთხელ შეგახსენებთ.**

# ვიდრე ერის პირქვე დამხობა დაიწყებოდეს

**მაშ ასე, ლათინური წარმოშობის ტერმინი ინვესტიცია (Investire – შემოსვლა) მშობლიურ ქართულ ენაზე ნიშნავს კაპიტალის დაბანდებას ეკონომიკურ საქმიანობაში, ბუნებრივია, ფულადი მოგებისა და სოციალური ეფექტის მიღების მიზნით. ეს არ არის ვიღაც კეთილი ძიას საჩუქარი ღარიბი მეზობლისადმი, მაგრამ, ამავე დროს, ეს არც მშობლიური „ლიბერთი ბანკის“ სესხია, რომელსაც ადვილად აიღებ, მაგრამ იქნებ ვეღარასოდეს გადაიხადო! როგორც წესი, ეს არის უმაღლეს დონეზე შეთანხმებული ორმხრივ სასარგებლო გარიგება იურიდიულ პირებს შორის.**

ჩემთვის, საქართველოს რიგითი მოქალაქისთვის, ჯერჯერობით მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ არაბთა გაერთიანებული საემიროების ფირმის ინვესტიცია საქართველოში, კერძოდ, თბილისის მიმდებარე ტერიტორიაზე და გონიოში თანამედროვე ტიპის (ცათამბჯენების ჩათვლით) საცხოვრებელი სახლების, სპორტული და კულტურული ინფრასტრუქტურის მშენებლობას გულისხმობს. მოგების 67 პროცენტი დარჩება არაბულ ფირმას, დანარჩენი 33 პროცენტი – საქართველოს სახელმწიფოს.

შეთანხმება საქართველოში არაბულის სახელმწიფო ენად, ისლამის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას და ნატა ფერაძის რომელიმე არაბი ემირის ჰარამხანაში გამწესებას არ ითვალისწინებს.

იმედია, არ გაგიკვირდებათ, რომ ამ მართლაც უმაგალითო ისტორიულმა შეთანხმებამ ქართული საზოგადოების ერთ ნაწილში (აი, იმ ნაწილში, თავს „ოპოზიციას“ რომ უწოდებს!) უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია – ეს შეთანხმება საქართველოს გადაგვარების, მსოფლიო რუკიდან მისი სამუდამოდ გაქრობის მომასწავებელია!

არგუმენტები? – არაბულენოვანი მუშების საქართველოში ჩამოყვანა, არაბული ფინანსები, არაბული კულტურა (სავარაუდოდ, მუსლიმობას გულისხმობენ) გადააგვარებენ, გააქრობენ საქართველოს!

მართალია, ჩვენი ნაცპატრიოტებისთვის ერთადერთი ინტელექტუალური ძალა დიდი ხანია „ვივამედიდან“ დაუღალავად გვმოძღვრავს, მაგრამ მოდი, **დიდ ილიასაც** ნუ დავივიწყებთ:

**„ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ დაიწყება, როცა იგი თავისს ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა, თავისის ყოფილის ცხოვრებისა. დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან, მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წაწყმედისაცა.**



**წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო – მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზედ გადაბმული, რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია.“**

დავუჯეროთ „ერის მამად“ აღიარებულ **დიდ ილიას** და სულ მცირე ხნით მშობლიურ ისტორიაში გადავიხედოთ.

მეთერთმეტე საუკუნის მიწურულს, 1089 წელს ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი პოლიტიკური ვითარების გამო ტახტიდან გადადგა ქართლის მეფე გიორგი მეორე და მეფობა თავის 16 წლის ვაჟიშვილს, ისტორიაში **„აღმაშენებლის“** სახელით დამკვიდრებულ დავითს დაუთმო.

ეს არის უმძიმესი ეპოქა საქართველოს ისტორიაში – უკიდურესი ეკონომიკური სიდუხჭირე, ქართველ დიდგვაროვანთა თვითნებობა, გარე მტრების შემოსევები, არაბთა ოთხასწლიანი თარეში ქვეყნის შიგნით...

ვინაიდან **დავით მეფის** საქმიანობაზე დაწვრილებით საუბარი შორს წაგვიყვანს, ამჯერად



მხოლოდ ერთი ეპიზოდი გავიხსენოთ – ქვეყნის საბოლოოდ გადაგვარება-განადგურების თავიდან ასაცილებლად, ადგილობრივი ფეოდალების ასალაგმად და „დიდი თურქ-არაბობის“ გასანადგურებლად დავით მეფე აღმაშენებელი 1118 წელს ჩრდილოეთ კავკასიიდან დასახმარებლად იწვევს ყივჩაყთა იმ პერიოდისთვის მართლაც უზარმაზარ რაოდენობას, 40 ათას ადამიანს. ამის თაობაზე ერთადერთი წყარო დავით აღმაშენებლის ისტორიკოსია: „ხოლო ყივჩაყნი დააყენნა ადგილთა სამათოდ მარჯუეთა დედაწულითა მათითა, რომელთა თანა იყო წყობად განმავალი რჩეული ორმეოც ათასი...“

გავბედავ და შეგახსენებთ, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე საკამათოა, კერძოდ, რას გულისხმობს დავითის ისტორიკოსი ამ „ორმეოც ათასში“ – მხოლოდ არმიას თუ მთლიანად, საქართველოში გადმოსახლებულ ყივჩაღთა რაოდენობას ოჯახის წევრების ჩათვლით. თუ მხოლოდ არმიაზეა საუბარი, მაშინ საქართველოში, სულ მცირე, 250 000 ყივჩაყი მაინც ჩამოსახლებულა!

ახლა მთავარი, რის გამოც ეს სევდიანი ისტორია გავიხსენე – ქართველი ერის, საქართველოს გადაგვარება იმ შორეულ შუა საუკუნეებში ვერ შეძლო ვერც არაბობა-თურქ-სელჯუკობამ, ვერც საკმაოზე მეტად ველურმა ყივჩაყობამ, ვერც სპარსობამ, ვერც მონღოლობამ და ბოლოს, ვერც თითქმის ორასწლიანმა რუსულმა ბატონობამ. ყივჩაყებს რომ მივუბრუნდეთ, საქართველო არ განადგურებულა, ენა და ტრადიციები არ დაუკარგავს. დღემდე შემორჩენილია ისტორიული ცნობები მათ შესახებ. რაც მთავარია, დღემდე ერთობ პოპულარულია გენიალური ხალხური ლექსი „შემომეყარა ყივჩაღი“ და გიორგი ლეონიძის არანაკლებ გენიალური „ყივჩაღის პაემანი“.

იმის თქმა მინდოდა, რომ თანამედროვე ოპოზიციის და მასზე აყოლილი უვიცების აჟიოტაჟი, „არაბული ინვესტიცია გადააგვარებს საქართველოს!“ – ჩემი აზრით, არის სრული ბლეფი, თბილისის ქუჩებში მოკუნტრუშე საეჭვო ყოფაქცევის პუბლიკის თავის მართლების ერთადერთი საშუალება.

სინამდვილე აბსოლუტურად განსხვავებულია – საქართველოს, ქართველი ხალხის გადაგვარებას, სახელმწიფოებრიობის ჩამოშლა-განადგურებას სულ სხვა რამ ემსახურება.

ჯერ ის გავიხსენოთ, რას გულისხმობს, ზოგადად, ერის გადაგვარება.

ერის გადაგვარების, მისი ცივილიზებული სამყაროდან განაპირება-გაქრობის უპირველესი ნიშანი ნებით თუ ძალადობით საკუთარ ისტორიაზე, ტრადიციებზე, ადათ-წესებზე უარის თქმაა. ამის მიზეზი შეიძლება ბევრი რამ იყოს – კაცობრიობის განვითარების კანონზომიერებებიდან დაწყებული, დაუნდობელი შიდა თუ გარე დაპირისპირებებით დამთავრებული. ვფიქრობ, ოდესღაც მსოფლიოს დიდი იმპერიების (სპარსთა, თურქ-სელჯუკთა, მონღოლთა, დიდი ბრიტანეთის, რუსეთის...) შემადგენლობაში შემავალი ხალხების და სახელმწიფოების ტრაგიკული ისტორიები ამის ნათელი დასტურია.

თუ საეჭვო ევროაკვიატებებს ცოტა ხნით გვერდზე გადავდებთ და თუნდაც ოცდამეერთე საუკუნის მსოფლიოში განვითარებულ მოვლენებს ოდნავ მაინც კრიტიკულად გავაანალიზებთ, უეჭველად დავინახავთ, რომ **სანატრელი ევროპა უკვე დიდი ხანია უკან მოუხედავად მიექანება მარქსისტულ-ლენინური „ერთიანობისკენ“ – არავითარი საზღვრები, არავითარი სახელმწიფოები, არავითარი განსხვავებული ენები, არავითარი განსხვავებული ქცევის მანერები, არავითარი ეროვნული ტრადიციები და ადათ-წესები, არავითარი დიდ-პატარა, არავითარი სქესობრივი განსაკუთრებულობანი – ერთი სახელმწიფო, ერთი მმართველობა, ერთი ენა, ერთი კანონი, ქცევის ერთი მანერა...**

**ქართველობა, ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა თანამედროვე მარქსისტულ-ლენინური ევროპისთვის არის გუშინდელი დღე, ბნელი წარსული. ახალი და პროგრესული კი გახლავთ ბილწად მაგინებელი და პოლიციის მანქანებზე მოხტუნავე ახალგაზრდობა, ციხეში უსამართლოდ გამოკეტილი ევროპული შუქურა სააკაშვილი, მარადიულ პრეზიდენტად თვითაღიარებული ზურაბიშვილი, მსოფლიოს ყველა პრემიით დაჯილდოებული უცნობი ჟურნალისტი ამაღლობელი, გამოჩენილი ორატორი და თეორეტიკოსი ხაბეიშვილი, ქართული სიწმინდეების საჯაროდ შეურაცხმყოფელი ფერაძე, სიცრუით და ქურდბაცაცობით სახელგანთქმული ხაზარაძე...**

საქართველოს გაევროპელებისა და ქვასროლია „პოლიტიკოსების“ უფლებებისთვის მზრუნველ დასავლელ „მეგობრებს“ რომ თავი დავანებოთ, ნათქვამის დასტურად „დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის“, ბატონი ლევან ბერძენიშვილის „თეორიებიც“ გამოდგება: დავით აღმაშენებელი უმაქნისია, თამარი არარაობაა, გიორგი ბრწყინვალე უსაქმურია, ერეკლე მშიშარა, მოღალატე და რუსეთუმეა, ილია ერთი უგვანი პოეტია, ჩვენი ისტორია არაფრის მთქმელია, ენა და დამწერლობა წარსულის მძიმე გადმონაშთია, ქართული მეცნიერება არარსებულია... მოკლედ, საქართველოს წარსულსა და თანამედროვეობაში ავტორიტეტების სივრცე თავისუფალია და ეს ადგილი ვინმე კოლექტიურმა სანაიათარგამაძემ უნდა დაიკავოს.

ყურადღება მიაქციეთ ამავე „პოლიტიკოსების“ დამოკიდებულებას თუნდაც მსოფლიოს ყველა დროის და ყველა ხალხის ინტელექტუალთა დედოფალ ნონა გაფრინდაშვილის ან მსოფლიოს ყველა დროის, პირდაპირი გაგებით, უძლიერეს სპორტსმენ ლაშა ტალახაძისადმი (მათი დახასიათებების გამეორებას ვერ ვიკადრებ).

**იმის თქმა მინდოდა, რომ საქართველოს, ქართველი ხალხის გადაგვარებას, მსოფლიო რუკიდან გაქრობას და ისტორიის მარადიულ საკუთრებად გადაქცევას ემსახურება არა რომელიმე უცხოური ინვესტიცია, ცათამბჯენების მშენებლობა და მილიარდიანი შემოსავლები ქვეყნის საკეთილდღეოდ, არამედ ემსახურება ბრძოლა საქართველოს ისტორიის, ქართული ენის, ქართული კულტურის წინააღმდეგ.**

და რაც უმთავრესია – საქართველოს გადარჩენა შესაძლებელია მხოლოდ მომავალ თაობებზე ზრუნვით, ეროვნული განათლების უფრო მაღალ საფეხურზე აყვანით.

**კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ერის მამა, დიდი ილია და მისი „ერი და ისტორია“: „შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდამ დაიწყოს ცხოვრების უღელის წევა. შვილს უნდა გამორკვეული ჰქონდეს, რაში იყო მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო შემცდარი, რა ავი მიიჩნია კეთილად და რა კეთილი – ავად, რა უმართავდა ხელს, რა აბრკოლებდა, რისთვის ირჯებოდა და მხნეობდა, და რისთვის და რაში უქმობდა.“**

ბოდიშის მოხდით შეგახსენებთ, რომ ეს სიტყვები თითქმის 140 წლის წინათ, 1888 წელს დაიწერა.

**ბევრად უფრო ადრე დაიწერა დავით გურამიშვილის ეს ერთობ საგულისხმო სიტყვები: „ყმაწვილი უნდა სწავლობდეს, საცნობლად თავისადაო, ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო...“**



**თეიმურაზ ქორიძე,**

09. 11. 2025

# სინათლე, რომელსაც შეუძლია შეცვალოს სამყარო...




**განათლების, მეცნიერების და კულტურის მსოფლიო ორგანიზაციის – იუნესკოს მიერ 1999 წელს ბუდაპეშტში (უნგრეთი) გამართული მეცნიერების მსოფლიოს კონფერენციის გადაწყვეტილების საფუძველზე, მისი წევრი ქვეყნები, მოყოლებული 2001 წლიდან, ყოველ 10 ნოემბერს აღნიშნავენ „მეცნიერების მსოფლიო დღეს – მშვიდობისა და განვითარებისთვის“.**

**2023 წლის აგვისტოში გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2024-2033 წლები „მდგრადი განვითარების მეცნიერებათა საერთაშორისო ათწლეულად“ გამოაცხადა, რამაც სხვადასხვა განხრის მეცნიერებს ხელი უნდა შეუწყოს, დირსეული წვლილი შეიტანონ კაცობრიობის შემდგომ პროგრესში. წლევანდელი მეცნიერების მსოფლიოს დღის ლოზუნგია „ ნდობა, ტრანსფორმაცია და ხვალინდელი დღე: მეცნიერება, რომელიც 2050 წლისთვის გვჭირდება“.**



**ამდენად, სავსებით ბუნებრივია, რომ ამ დღეს საუკეთესო, ამაღლებული განწყობით შეხვდნენ ქართველი სწავლულებიც, რომელთათვისაც წლევანდელმა მეცნიერების დღემ განსაკუთრებული ელფერი შეიძინა.**

**საქმე ის გახლავთ, რომ 10 ნოემბერს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შენობაში, გაიხსნა აკადემიის მუზეუმი, რომლის მთავარი ამოცანაა საზოგადოებისთვის სამამულო მეცნიერების ისტორიული მემკვიდრეობის ღირსეულად წარმოჩენა.** საკმაოდ ვრცელ სამუზეუმო სივრცეში თვალნათლივ წარმოდგენილია აკადემიის საწყისი საფუძვლების მეცნიერული კვლევები, საქართველოსა და მის საზღვრებს მიღმა არსებული საგანმანათლებლო კერების, აკადემიის დამფუძნებელთა, მის პრეზიდენტთა, წევრთა და ცალკე გამოჩენილ ქართველ სწავლულ ქალთა ფოტოსტენდები, აკადემიის ცხრავე განყოფილების შემადგენლობის, ქართული ენციკლოპედიისა და რუსთაველის მემკვიდრეობის შემსწავლელი კომისიების ბანერები.

აკადემიის მუზეუმი საზეიმოდ გახსნეს მისმა პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **როინ მეტრეველმა** და საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრმა **გივი მიქანაძემ.**

ამის შემდგომ, აკადემიის დიდ სააქტო დარბაზში გაიმართა გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემიების წლევანდელი ლაურეატების დაჯილდოების ცერემონია. საზეიმო სხდომას უძღვებოდა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი **როინ მეტრეველი.**

ბატონი როინი გულთბილად მიესალმა დამსწრეთ, ილაპარაკა ახლად გახსნილი მუზეუმის მნიშვნელობაზე, 1941 წლის 10 თებერვალს სამამულო მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის – ქვეყნის უმაღლესი სამეცნიერო ინსტიტუციის შექმნის ისტორიაზე. აღნიშნა, რომ მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შექმნის წინამორბედი იყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის თბილისის ფილიალი და საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც გასული საუკუნის 20-30 წლებში ჩამოყალიბდა არაერთი კვლევითი დაწესებულება, სადაც საფუძველი ჩაეყარა თანამედროვე ქართული მეცნიერების სისტემას, ასევე იმაზე, რომ მეცნიერების სხვადასხვა დარგში მსოფლიო მნიშვნელობის ქართული ეროვნული სკოლების ბრწყინვალე წარმომადგენლების წყალობით სამამულო მეცნიერებამ უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვა მთელ მსოფლიოში.

**– ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, საბუნებისმეტყველო, დედამიწის შემსწავლელი და ჰუმანიტარული მეცნიერებების ცხრა განყოფილება აქვს და ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ საქართველოს სახელმწიფოს სამეცნიერო მრჩევლები ვართ,** – ხაზგასმით აღნიშნა აკადემიის პრეზიდენტმა. – ქვეყანაში ამჟამად განათლების მნიშვნელოვანი რეფორმა მიმდინარეობს და უაღრესად საგულისხმოა მასში ჩვენი მეცნიერების აქტიური მონაწილეობა.

**– საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ახალი ცოდნისა და ინოვაციური მიგნებების ჭეშმარიტი სამჭედლოა, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მის თითოეულ წევრს, უკლებლივ ყველა ქართველ მეცნიერს მათი კეთილშობილური მოღვაწეობისთვის,** – თქვა საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრმა გივი მიქანაძემ. **– 2026 წლის გაზაფხულზე ყველანი მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დაარსებიდან 85 წლისთავს ვიზეიმებთ. საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი კობახიძის ინიციატივით, ამ ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად შეიქმნა საიუბილეო კომისია, რომლის თანათავმჯდომარეები ბატონი როინ მეტრეველი და მე გახლავართ. დასახულია არაერთი მეტად საგულისხმო ღონისძიება, მათ შორის გამოშვებული იქნება ამ თარიღისადმი მიძღვნილი საფოსტო მარკა, მოიჭრება სამახსოვრო მონეტა, გაიმართება საიუბილეო სამეცნიერო თავყრილობები...**

შემდგომ ბატონმა გივი მიქანაძემ წაიკითხა საქართველოს პრემიერ-მინისტრის **ირაკლი კობახიძის** მეცნიერების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ეროვნული აკადემიისთვის გამოგზავნილი წერილი.

## საქართველოს პრემიერ-მინისტრი

თბილისი, 10 ნოემბერი, 2025

**მეცნიერების საერთაშორისო დღე, რომელიც 2001 წელს UNESCO-ს ეგიდით დაწესდა და მას შემდეგ საქართველოში ყოველწლიურად აღინიშნება, შეგვახსენებს მეცნიერების განსაკუთრებულ და შეუცვლელ როლს ქვეყნის განვითარებაში.**

**მეცნიერების განვითარება და ქართული სამეცნიერო საზოგადოების მხარდაჭერა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ უმთავრესი პრიორიტეტია. გასულ წლებში ამ მიმართულებით არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. ამას ემსახურება უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმაც, რომელიც საქართველოში მეცნიერების განვითარებაში უმნიშვნელოვანეს წვლილს შეიტანს.**

**მოხარული ვარ, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ყოველწლიურად აღნიშნავს მეცნიერების საერთაშორისო დღეს და მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმატებულ წარმომადგენლებს გამოჩენილ მეცნიერებათა სახელობითი აკადემიური პრემიებით აჯილდოებს.**

**პროფესიულ დღეს ვულოცავთ, შემდგომ წარმატებებსა და ნაყოფიერ მოღვაწეობას ვუსურვებ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და საქართველოში მოღვაწე ყველა მეცნიერს.**

პატივისცემით,

ირაკლი კობახიძე

# მეცნიერების საერთაშორისო დღე



შეკრებილთ ასევე მიესალმა პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე **მარიამ ლაშხი.** მან ისაუბრა მეცნიერების მნიშვნელობაზე საზოგადოების ცხოვრებაში, მადლობა გადაუხადა ქართველ სწავლულებს დაუღალავი შრომისთვის, განსაკუთრებით აღნიშნა მათი როლი ხალხისთვის კეთილი მომავლის აღმშენებლობის საქმეში.



**– მეცნიერება სინათლეა, რომელსაც შეუძლია შეცვალოს სამყარო,** – თქვა ქალბატონმა მარიამმა.

საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფის „ხალხის ძალის“ თავმჯდომარის მოადგილემ **ეკა სეფაშვილმა** დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ამჟამად ჩვენ ყველანი მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის პირობებში ვიმყოფებით და დღითიდღე უკვე მეხუთეს მოახლოებასაც ვგრძნობთ, რომელიც კაცობრიობის კიდევ უფრო დიდ გამოწვევებს წაუყენებს, რასაც სათანადოდ გამკლავება სჭირდება.



**– ასეთ პირობებში, ცხადია, ჩვენც ვვითარდებით და სწორედ მეცნიერები ქმნიან იმ ეროვნულ ღირებულებებს, რომლებიც ქვეყნის გადარჩენის საწინდარია,** – დასძინა პარლამენტარმა.

ამის შემდგომ გაიმართა გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემიების გადაცემის ცერემონია. რომელსაც გაუძღვა აკადემიკოსი **ლადო პაპავა,** ხოლო საპატიო სიგელები ლაურეატებს გადასცეს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა **გივი მიქანაძემ** და აკადემიის პრეზიდენტმა **როინ მეტრეველმა.**



წლევანდელ ლაურეატ-მეცნიერთათვის საპატიო სიგელების გადაცემის შემდეგ, დამსწრეთ მიმართა და მაღალი სულიერი მოკრძალებით წინსვლა და გამარჯვება უსურვა საქართველოს საპატრიარქოს სასულიერო აკადემიის რექტორმა, პროტოპრესვიტერმა, პროფესორმა **გიორგიმ (ზვიადაძემ).**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

(მოამზადა **ოთარ ტურაბელიძემ**)

**პრემირებულთა ეს სია ერთხელ უკვე დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში, მაგრამ მკითხველთა თხოვნით და გაზეთის სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილებით დღეს განმეორებით გთავაზობთ.**

## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით, გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემია მიენიჭათ:

1. **ილია ვეკუას სახელობის პრემია** – აკადემიკოს ალექსანდრე ხარაზიშვილს მონოგრაფიისათვის – **„ლექციები ნამდვილ ანალიზსა და ზომის თეორიაში“;**

2. **ალბერტ თავხელიძის სახელობის პრემია** – აკადემიკოს ალექსანდრე კვინიხიძეს ნაშრომისათვის – **„კოვარიანტული განტოლებები ტეტრაკვარკებისათვის კვანტური ველების თეორიაში“** ;

1. **გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემია –** ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორ მერაბ ადეიშვილს მონოგრაფიისათვის – **„საინჟინრო დარგების განვითარება საქართველოში: განათლება, მეცნიერება, მშენებლობა“;**

2. **ივერი ფრანგიშვილის სახელობის პრემია –** აკადემიკოს ქართლოს ყაჭიაშვილს ნაშრომთა ციკლისათვის – **„სტატისტიკური ინფორმაციის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება მოცემული საიმედოობით“;**

3. **ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის პრემია –** გეოლოგიამინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორ ვაჟა გელეიშვილსა და მეცნიერებათა კანდიდატ ოთარ მაჭავარიანს (გარდაცვალების შემდეგ) მონოგრაფიისათვის – **„საქართველოს ბუნებრივი და სამშენებლო მოსაპირკეთებელი ქვები“** და **„საქართველოს ბაზალტების საბადო-გამოვლინებები და მათი გამოყენების პერსპექტივები“,**

4. **მიხეილ ნოდიას სახელობის პრემია –** ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორ ავთანდილ ამირანაშვილს, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორ ელიზბარ ელიზბარაშვილს, აკადემიურ დოქტორებს: ოთარ ვარაზანაშვილს და გიორგი გაფრინდაშვილს შრომათა ციკლისათვის –**„ბუნებრივი საშიშროებები საქართველოში: პარამეტრული კატალოგების შედგენა და კანონზომიერებების გამოკვლევა“;**

5. **რაფიელ აგლაძის სახელობის პრემია –** ქიმიის აკადემიურ დოქტორებს: თინათინ ლეჟავას, ნანა ქოიავას, ლევან ბერიაშვილს, ჯემალ შენგელიას, დავით გოგოლს, ლევან ბერიაშვილს **რაფიელ აგლაძის სახელობის პრემია** 3000 ლარის ოდენობით ნაშრომთა ციკლისათვის – **„ტექნოლოგიური სიახლეები მანგანუმისა და მისი ნაერთების წარმოებაში“;**

6. **პეტრე მელიქიშვილის სახელობის პრემია –** ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორ ედიშერ კვესიტაძეს, აკადემიკოს რამაზ გახოკიძეს, აკადემიის წევრ-კორესპონდენტ გია ხატისაშვილს მონოგრაფიისათვის **„დედამიწის ეკოლოგიური და სასურსათო პოტენციალი“;**

7. **სერგი დურმიშიძის სახელობის პრემია –** აკადემიკოს თინათინ სადუნიშვილს, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორებს: დალი ღაღანიძეს და ნანული ამაშუკელს ნაშრომთა ციკლისათვის **„მცენარეთა ბაქტერიოზების გამომწვევი პათოგენური ბაქტერიების ფენოტიპური და გენეტიკური მრავალფეროვნება“;**

10. **ნიკო კეცხოველის სახელობის პრემია** ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორ ზაურ ლომთათიძეს ნაშრომათა ციკლისათვის – **„აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა ტიპის ნიადაგების მიკროფლორა“;**

11. **ივანე თარხნიშვილის სახელობის პრემია –** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორ ირინე კვაჭაძეს შრომათა ციკლისა და ფუნდამენტური ქართულენოვანი სახელმძღვანელოსათვის **– „ადამიანის ფიზიოლოგია“,**

12. **ზაზა ფანასკერტელის სახელობის პრემია –** ბიოლოგიის აკადემიურ დოქტორ ნანი ხელაიას **ნაშრომთა ციკლისათვის – „ქართული სამედიცინო ხელნაწერების მოძიება და შესწავლა – კატალოგიზება“;**

13. **გიორგი გიგაურის სახელობის პრემია** – აკადემიურ დოქტორებს: გიორგი ქავთარაძეს, ზურაბ მანველიძეს, ნატო კობახიძეს; დოქტორანტებს: ლადო ბასილიძეს, მარგალიტა ბაჩილავას; მაგისტრანტებს: ელიზავეტა ავოიანს, ბესარიონ აფციაურს; საპატიო დოქტორ ნანი გოგინაშვილს მონოგრაფიისათვის – **„უცხო მერქნიან მცენარეთა ინვაზია საქართველოს დაცული ტერიტორიების ტყის ჰაბიტატებში“;**

14. **ნიკოლოზ ხომიზურაშვილის სახელობის პრემია** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს ევგენი ბარათაშვილსა და აკადემიურ დოქტორ ირმა ბარათაშვილს (გარდაცვალების შემდეგ) მონოგრაფიისათვის – **„კლასტერების მენეჯმენტი“;**

15. **ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის პრემია –** აკადემიკოს ავთანდილ სილაგაძეს ნაშრომთა ციკლისათვის – **„ეკონომიკური დოქტრინების სათავეებთან“;**

16. **გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის პრემია –** ავტორთა ჯგუფს – თამაზ დვალს, ალექსანდრე კუზანაშვილს, ლალი მოწონელიძეს და თამარ რუსიშვილს წიგნისათვის – **„საქართველოს მატერიალური კულტურული მემკვიდრეობა – კახეთი“;**

17. **კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პრემია –** აკადემიის წევრ–კორესპონდენტ სოსო სიგუას წიგნისათვის: **„XX საუკუნე: მოდერნიზმი და ავანგარდიზმი“;**

18. **გიორგი წერეთლის სახელობის პრემია –** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორ მაია რაფავას ნაშრომთა ციკლისათვის – **„პროკლე დიადოხოსის კავშირნი ღვთისმეტყველებითნი“, „იოანე პეტრიწის განმარტებები“** და **„ათონის ქართველთა მონასტერი“.**



# სოფელი მელოური უნდა აღორძინდეს!

**დღეები ტყუპისცალებივით ჰგვანან ერთმანეთს. ყველა დღეს, ძირითადად, ერთი ფერი აქვს, ნაცრისფერი, ან უფრო, ტყვიისფერი... და ასე, ერთმანეთის მიყოლებით, მიდიან დღეები, ჯარისკაცებივით ერთმანეთის მიყოლებით, უხმაუროდ, უფერულად... შენც მიყვები დღეთა ამ რიგს... გინდა-არ გინდა, ეთანხმები, არ ეთანხმები, არავინ გეკითხება...**

**და, ამ ნაცრისფერ – ტყვიისფერ დღეთა რიგში, უცებ, ერთი დღე გამოკრთება, ფერს რომ შეიცვლის, განათდება, გათბება, გამზიანდება და გავიწყებს მოჟამულ დღეთა არსებობას, დღე, რომელიც ემოციურად წლებს აიწონის და ალბათ, გადაწონის კიდეც.**

ასეთი ფერადი, მზიანი და ნათელი იყო ის დღეც, რომელიც საზოგადოება „ძველმა წყალტუბოელებმა“ (დაარსდა 2019 წელს. დამფუძნებლები: **ბადრი კაკაბაძე, ოთარ შენგელია, თავმჯდომარე: გელა ხუნწარიძე)** გვაჩუქა. არაერთი ლამაზი ღონისძიება გამართულა ამ საზოგადოების ინიციატივით, ღონისძიება, რომელიც არასდროს დაგავიწყდება, ერთი მეორეს არ ჰგავს და არ მეორდება. ასეთი განუმეორებელი, არც ერთის მსგავსი არ იყო იმ დღეს ის ღონისძიებაც. გადაწყდა: ავსულიყავით სოფელ მელოურში, აღგვემართა ჯვარი დღეს ნანგრევებად ქცეულ წმინდა გიორგის ეკლესიის მიმდებარედ, დაგვესუფთავებინა მიტოვებული საფლავები და შენდობა გვეთქვა უჭირისუფლოდ დარჩენილ მიცვალებულთათვის, რომლებიც დროთა უკუღმართობის გამო, ვინ იცის, რამდენი ათეული წელი ელოდებოდნენ მეოხ-მომკითხავს.

„მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავს ყოველ ერს თავისი ეროვნება, თავისი არსებობა, თავისი ვინაობაო“ – წერდა დიდი ილია და უპრიანია, ვიცოდეთ ამ სოფლის წარსული – ყველა სხვა სოფელზე უფრო ძველი და ყველა სხვა სოფელზე უფრო ცრემლიანი და ტკივილიანი...

მელოური წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შემავალი სოფელია. მდებარეობს მდინარე რიონსა და კურორტ წყალტუბოს შორის. ქალაქიდან 15 კმ-ის დაშორებით, ზღვის დონიდან – 450 მეტრზე. ნასოფლარს საკმაოდ მოხერხებული მდებარეობა უჭირავს. შესანიშნავი ხედი, სუფთა ჰაერი, ანკარა წყაროები, ცხოველებითა და მცენარეებით მდიდარი გარემო, როგორც ჩანს, ოდითგანვე იზიდავდა ადამიანს.

ნამოსახლარს აღმოსავლეთით ესაზღვრება სამგურალის ქედი, ჩრდილო-დასავლეთით – გუბისწყლის ხეობა, სამხრეთით – მღერის წყალი.

ამ სოფლის შესწავლა უკავშირდება მხარეთმცოდნე პეტრე ჭაბუკიანს, რომელიც ყუმისთაველ უშანგი მიქაბერიძეს აუყვანია პირველად მელოურში 1964 წელს. პირველი დაზვერვითი ექსპედიცია მოეწყო 1968 წელს, ხოლო 1976 წლიდან უკვე ნამოსახლარის შესასწავლად არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დაიწყო მუშაობა ჯერ პროფესორ ალექსანდრე კალანდაძის, შემდეგ კი პროფესორ კარლო კალანდაძის ხელმძღვანელობით. არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დაადგინა, რომ აქ ადამიანი ჯერ კიდევ აშელისა და მუსტიეს ეპოქაში (1,7-0,1 მლნ. წლის წინ) დასახლებულა და დიდხანს, რკინის ხანამდე არ მიუტოვებია. ექსპედიციამ 2000 ერთეული კაჟის და რიყის ქვის იარაღი აკრიფა ზედაპირულად. ნაპოვნია ნამგლისებური და ხერხისებური იარაღი, რატუშიანი და ურატუშო, ლამელები, ხელსაფქვავები, წვეტანები, დანისმაგვარი იარაღები, შურდულის ქვები, სალესები და სხვა. მათი სიმრავლე მოწმობს, რომ იარაღის დასამზადებელი სახელოსნოები სწორედ აქ, ნამოსახლარზე ყოფილა. (აქ აკრებილი მასალის დიდი უმეტესობა დღეს წყალტუბოს მხარეთმცოდნეობისა და ქუთაისის ისტორიულ მუზეუმებშია დავანებული).

ამის შემდეგ, მე-18 საუკუნის შუა წლებამდე, მელოურის, როგორც დამოუკიდებელი სოფლის ისტორია, უცნობია. ის ძირითადად ოსუნელას (ლეჩხუმი) შემადგენლობაში ჩანს. როგორც დამოუკიდებელი სოფელი, 1885 წელსაა მოხსენიებული. 1886 წელს „უნებართვოდ“ აუგიათ წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, რომელიც „უნებართვოდ“ აგების გამო, მხოლოდ 1889 წელს უკურთხებიათ.

მელოურში ძირითადად ცხოვრობდნენ: იობიძეები, ჯანელიძეები, გურეშიძეები, შვანგირაძეები, ჯიმშელეიშვილები, ხაჭაპურიძეები. სოფელი ხან ოფურჩხეთის, ხან ნამოხვანის შემადგენლობაში შედიოდა. მოჰყავდათ ჩაი, სიმინდი, ეწეოდნენ მეცხოველეობას. იშვიათი იყო 2 და 3-შვილიანი ოჯახი, ჰყავდათ 5, 7, 12 შვილი...

სოფლის მშვიდობიანი ცხოვრება ხანმოკლე აღმოჩნდა. სამამულო ომში 60 მელოურელი ვაჟკაცი იბრძოდა (ამ პერიოდში სოფელში სულ 50 კომლი ცხოვრობდა). ომმა არა მარტო შეწყვიტა სოფლის მშვიდობიანი ცხოვრება, არამედ შეწყვიტა მისი არსებობაც: მეორე მსოფლიო ომის დროს, საბჭოთა მთავრობა უკვე აღარ ენდობოდა საზღვრისპირა რეგიონში მცხოვრებ მაჰმადიან მოსახლეობას, რასაც შედეგად 1944 წელს, საზღვრების გამაგრების მიზნით, ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობის ნაცვლად, ქართველების შუა აზიაში და ადიგენში ჩასახლება მოჰყვა. **„გადასახლებულ იქნას წყალტუბოს რაიონის მცირემიწიან სოფლებიდან: ქვილიშორის, გუმბრინის, წყალტუბოს, გუბისწყლის, მელაურის და სხვა სოფლებიდან 130 კომლი, 700 კოლმეურნე“... „ცნობად იქნას მიღებული, რომ მიდიან თავისი სურვილით... გაიცეს: თითო კომლზე 2 ნაჭერი საპონი და 2 პულავერი, თითო სულზე – 2 კილო გამომცხვარი პური“ – ჩაიწერა ოქმში და სოფელ მელოურის ბედიც ასე იოლად გადაწყდა...**




ბევრი აღმოჩნდა მოწინააღმდეგე. „ომიდან დაიცადეთ ჩემს 3 ბიჭს ჩამოსვლა და მერე ოთხივე ჩამოვალთო“ – ჩიოდა ეპრასი იობიძე. „ჩვენი ჯარჯი გვირჩევნია სხვის ბუმბულსო“, მაგრამ თითი დაუქნიეს და უთხრეს: 37 წელი მონაგონი იქნებაო და... ამ ფანდმა გაჭრა.

მთელი ღამე ისმოდა ადამიანთა ღმუილის და ტირილის, ძაღლის ყმუილისა და შინაურ ცხოველთა ბღავილის ხმები სოფლიდან... დილით კი თერნალის რკინიგზის სადგურიდან, ჭუჭყიანი ვაგონებით გაუყენეს ადიგენისკენ მიმავალ გზას მთელი სოფელი... მოხუცებმა და ბავშვებმა სიცივეში მგზავრობა ვერ აიტანეს, ბევრი ავად გახდა. გზაში დარდისაგან გარდაიცვალა დარბაისელი გლეხი **ანტონ იოსების ძე იობიძე**... ერთ-ერთ ოქმში დაფიქსირებულია, რომ „ჩასულებს მიეყიდათ (და არა მიეცათ) 4 კგ მარცვალი, 6 მეტრი ქსოვილი ლეიბების შესაკერად, სულზე ერთი წყვილი ჩუსტი, 6 კოჭის ძაფი, 5 კოლოფი ასანთი და 5 ლიტრა ნავთი... მოსწავლეებს – ერთი წყვილი ფეხსაცმელი, ერთი წყვილი მაღალყელიანი წინდა, სამი რვეული და ორი ფანქარი“...

ერთადერთი, ვინც მელოურში მარტო დარჩა და ასე, მარტოობაში, თავის ქოხში გაატარა 8 წელი და თავის 2 შვილს ელოდებოდა, ომიდან დაბრუნებულ სოფლის ბიჭებს კი მათი ახლობლების ამბებს უყვებოდა, 80 წლის თეო ჩეჩელაშვილი-ჯანელიძისა იყო...

20-გრადუსიანი ყინვა, მიწურები, ნოსტალგია საკუთარ სოფელზე, გამოულეველი ცრემლი და ტკივილი იყო ადიგენის სოფლებში – გომაროსა და ზანავში ჩასახლებულ „ახალმოსახლეთა“ მუდმივი თანამგზავრი.

1945 წელს მელოური ოფიციალურად გაუქმდა, როგორც სოფელი და მიწები მეზობელ ქვილიშორს გადაეცა.

**მიწის ყივილი არ ასვენებდა მელოურელებს. 1949-50 წლებში ნელ-ნელა იწყეს დაბრუნება მამაპაპისეულ ადგილებში, მაგრამ მათ მეორედ დაატოვებინეს სოფელი... რომანოზ იობიძემ ის მოასწრო, რომ მის ნაეზოვარში, მსხმოიარე ბლის ხეზე, თხილის წნელის მარყუჟით თავი ჩამოიხრჩო...**

გავიდა დრო. ქვეყანამ დამოუკიდებლობა აღიდგინა. 1992 წელს მელოური გამოიყო ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად, მოსახლეობა ნელ-ნელა დაუბრუნდა მიტოვებულ სოფელს, აღდგა ელგაყვანილობა, საფუძველი ჩაეყარა მელოურის მღვიმეების შესწავლა-პოპულარიზაციას, გაიწმინდა ტყეები, წყაროები, შეკეთდა გზები...

თუ ომიანობის დროს სოფელი არ მიატოვა 80 წლის თეო ჯანელიძემ და მხოლოდ მისი ბუხრიდან ამოდიოდა 8 წლის განმავლობაში კვამლი, მშვიდობიანობის დროს ამ დაცლილი, დამცრობილი სოფლის ერთადერთი მოჭირნახულე და გულშემატკივარი იყო ყველასათვის კარგად ნაცნობი, ქვილიშორის კოლმეურნეობის თავმჯდომარე თენგიზ ჯანელიძე, კაცი, რომელიც ათეული წლები მარტოდმარტო ცხოვრობდა სოფელში, კერას არ აქრობდა და აცოცხლებდა მას. ის იყო იმ ბნელ, 90-იან წლებში ყველა მელოურში ასული კაცის პატრონი და მასპინძელი. ამასთან აგროვებდა მასალებს ამ სოფლისა და მის მკვიდრთა შესახებ და პერიოდულად აწვდიდა ადგილობრივი გაზეთის რედაქციას. ერთი სიტყვით, არ ავიწყებდა სოფელ მელოურს ადამიანებს.

ქებისა და მადლობის სიტყვებს იმსახურებს არქივარიუსი მანანა ხაზარაძე. მიუხედავად იმისა, რომ ის ამ სოფლის მკვიდრი არ იყო და არც მის წინაპრებს აკავშირებდა რამე ამ მელოურთან (თუმცა, დღეს ქალბატონი მანანა სოფლის სრულუფლებიანი წევრია), წლების მანძილზე ეძებდა, აგროვებდა, აკოწიწებდა და წიგნად გამოსცა ამ ლამაზი სოფლის ისტორია. ეს არ არის მარტო ლამაზად წასაკითხი,თუმცა ძალზე სევდიანი მხატვრული ნაამბობი. ეს ისტორიული წყაროებით, ისტორიული დოკუმენტებით გაჯერებული კვლევაა სოფელ მელოურზე, სოფელზე, რომელიც ფენიქსივით აღდგა ფერფლიდან...

**ჰოდა, ამ ულამაზესი სოფლისკენ აიღეს იმ სისხამ დილით გეზი საზოგადოება „ძველი წყალტუბოელების“ წევრებმა და არა მარტო მათ. სამუშაო ფორმაში ჩაცმულებს და სამეურნეო ხელსაწყოებით შეიარაღებულებს, ქალაქის შემდეგ სალბუნად მოგვედო გულზე მელოურის სუფთა ჰაერი, უჩამიჩუმო სიმშვიდე და შემოდგომის ჭრელაჭრულა ფერებში ჩაძირული სოფელი.**

დამთრგუნველი სანახავი იყო ირგვლივ ყველაფერი: ერთ დროს რუდუნებით, აშენებული წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიიდან, დღეს მხოლოდ დახავსებული ქვების გროვაა დარჩენილი და რაც უნდა ეცადო, ვეღარ გაარკვევ, სად იყო კარიბჭე, სად სარკმელი და სად საკურთხეველი.

**„როცა სიტყვები საქმედ იქცევიან, ისინი უკვე აღარ არიან ქაროსანი, არამედ ხორცოსანი და ძვალოსანი ხდებიანო“** – უთქვამს ერთ ბრძენკაცს და ეს უბრალო სიტყვები იმ დღეს ნამდვილად შეიმოსა ძვალით და ხორცით: ამ ეკლესიის მიმდებარედ, საკუთარი სახსრებით დაამზადებინა და აღმართა ჯვარი „ძველი წყალტუბოელების“ ერთ-ერთმა აქტიურმა წევრმა ზურაბ ჯანელიძემ გელა ხუნწარიძის თანადგომით.

გავასუფთავეთ საუკუნოვანი, ხავსით და სუროთი შემოსალტული საფლავები (სხვათა შორის, ამ სასაფლაოს 3 ქცევა, ე. ი. დაახლოებით ერთი ჰექტარი ეჭირა თურმე და საუკუნის დასაწყისში, კერძოდ, 1915 წელს 300 მიცვალებული იყო დასაფლავებული): ზოგ საფლავზე წარწერა მთლიანად ამოვიკითხეთ, ზოგზე დრო-ჟამის და მოუვლელობის გამო, წარწერა ნაწილობრივ იკითხება, ზოგი კი ხავსისა და ბალახის ფენას სამუდამოდ დაუსაკუთრებია. „ასე ლამაზები არასდროს ყოფილხართ, როგორ გიხდებათ შრომაო“ – გვაგულიანებდა ამ ლამაზი ღონისძიების ავტორი და „რეჟისორი“ გელა ხუნწარიძე. ნაეკლესიარის გვერდით, ამ საფლავებზე და ეკლესიაში ამოსული დაჭრილ-დახერხილი მორები ეყარა. თურმე, წლების წინ გიორგი (გიორგი იობიძე – სკოლამდელ დაწესებულებათა ხელმძღვანელი, რომლის წინაპრებიც ამ სოფლიდან იყვნენ, სახელოვანი ბაბუა, კალისტრატე იობიძე კი წლები ხელმძღვანელობდა თურმე, ჯერ ამ მელოურის, შემდეგ ადიგენში, სოფელ გომაროს კოლმეურნეობას) თავის მეგობრებთან ერთად ამოსულა, გაუსუფთავებია ხე-ბუჩქნარისგან და ეკალ-ბარდებისაგან ეს ადგილები, სამუდამოდ რომ არ გამქრალიყო ხეთა ფესვებში ეს საფლავის ლოდები და ეკლესიის ნანგრევები...

* * *

**ვინ იცის, როდის მოისმინეს ბოლოს, აწ უკვე ნანგრევებად ქცეულმა, წმინდა გიორგის ეკლესიის კედლებმა ან ამ ძველი საფლავების ბინადრებმა ბოლოს გალობის ან ლოცვის ხმები?!**

იმ დღეს კი ბევრი იყო ლოცვა (საფლავები აკურთხა და მიცვალებულთა სულების მოსახსენიებელი ლოცვები წაიკითხა მამა გიორგიმ (გიორგი ხაჭაპურიძე), მოკიაფე მრავალი სანთელი, ბევრი სამადლობელი უზენაესის მიმართ და ბევრი ქართული საეკლესიო საგალობელიც. ქართული ტრადიციისამებრ, არც ჭიქა ღვინით შენდობის თქმა დაგვავიწყებია უსასრულობის ბინადართათვის. იმ დღეს აქ იყო ყველაფერი: სითბო, ერთობა, ტრადიციები, პატივისცემა, ბევრი მადლობა და ბევრი ბოდიში...

დავთქვით, ყოველი შემოდგომის ერთ დღეს, აუცილებლად გამოვნახავთ დროს, რომ ისევ ამოვიდეთ სოფელში, ისევ შევავლოთ ხელი ამ საფლავებს, რომელთაგან უმეტესობას, დარწმუნებული ვარ, მომკითხავი არ ეყოლება... ეჭვი არ მეპარება, ამ სოფლიდან წასულებიც სიხარულით შეუერთდებიან „ძველი წყალტუბოელების“ ითაოსნობას, ღონისძიება უფრო მასშტაბურ სახეს მიიღებს და ერთად უფრო მეტი სიკეთეების კეთებას შევძლებთ...

დიდი ნოდარ დუმბაძისა არ იყოს: „იმ ღამეს არ მეძინა მე, არ ეძინა ბებიასო“... ეჭვი არ მეპარება, არ ეძინა იმ ღამეს იმ ღონისძიების არც ერთ მონაწილეს. დარწმუნებული ვარ, მათი ღამეული ფიქრები, როგორც ჩემი, თავს დაფარფატებდა იმ მიტოვებულ საფლავებს და იმ იდუმალ ადგილებს...

მიიღეთ ჩემი მოწიწება და პატივისცემა იმ დღის ყველა მონაწილემ, ერთად და თითოეულმა ცალცალკე. მეამაყება, რომ იმ დღეს თქვენ გვერდით ვიდექი. ვიდექი იმ ადამიანების გვერდით, ვინც წყალტუბოში ერთ დროს ამინდს ქმნიდა, მეტრი იყო სპორტში, მედიცინაში, ეკონომიკაში, სოფლის მეურნეობაში, სამართალმცოდნეობაში, პედაგოგიკაში... ნებისმიერი ქალაქი იამაყებდა **ჯეირან ომანაძით, ზურიკო ჯანელიძით, რომან კუხალაშვილით, თემურ ბაბუნაშვილით, ფრიდონ ციბაძით, თემურ აფხაძით, მურად სინაურიძით, ოთარ შენგელიათი, მურად ზაქარიაძით, მურთაზ კანკაძით, მურად კირთაძით, გიორგი და ომარ იობიძეებით და** ქალბატონებით: **მარინა კვერნაძით, მარინა აბჟანდაძით, მარინა ჭავჭანიძით** (საზოგადოების შეუცვლელი დედა-დიასახლისი). იამაყებდა თქვენით, ვინც ალალად, უმწიკვლოდ ემსახურეთ წყალტუბოს და დღესაც, ათეული წლების მერეც, მის სამსახურში დგახართ. თქვენს ხელში გაიარა ჩვენი კურორტის შენებისა და აღორძინების წლებმა და ისევ იმ გოგო-ბიჭებად რჩებით, კარგ სახვალიო მაგალითს რომ აძლევთ მომავალ თაობებს.

მადლობა ჩვენს თანაქალაქელ **ბადრი კაკაბაძეს,** რომელიც დაუზარებლად დგას ამ კარგი საზოგადოების და არა მარტო, არსებობის სადარაჯოზე სიტყვითაც და საქმითაც.

მადლობა ფოტოგრაფ **ბიძინა შველიძეს,** რომელმაც თავისი „ჩასაფრებული“ ფოტოკადრებით ისტორიას შემოუნახა ის დღე.

გემრიელი ლუკმა ბოლოს: მადლობა ჩემო გელა ხუნწარიძევ, ჩემო სხვანაირო კაცო. არ მოგეშალოს შენი ქოთქოთი, შენი პატრიოტიზმი და შენი მართალი სიტყვა შენს მეგობრებს და შენს უსაყვარლეს წყალტუბოს.

ის დღე, როგორც უამრავი სხვა, შენი ხელშენავლები, ნამდვილად შედგა, მიზანს ნამდვილად მიაღწია!..

დღეს მიტოვებულ მელოურში იშვიათად, მაგრამ მაინც ჭრიალებს ურემი, იშვიათად, მაგრამ მაინც ღვივის ღადარი, იშვიათად, მაგრამ მაინც ამოდის აქა-იქ ბუხრის ბოლი, აქა-იქ, მაგრამ მაინც ყივის ქანდარაზე შემომჯდარი მამალი და ახალი დილის გათენებას ამცნობს მელოურის შეთხელებულ მოსახლეობას.

ეს არც ისე ცოტაა... პოეტ ნოდარ გურეშიძისა არ იყოს...

**„მიტოვებულ სოფლებში,**
**თუ კვლავ ღვივის ღადარი,**
**ესე იგი საქართველო სამომავლოდ**
**მზად არის...**
**თუ აღდგენილ სოფლებში კვლავაც**
**ბუხრის ბოლია,**
**მიტაცებულ მიწების დაბრუნების ტოლია“...**

**ია კუხალაშვილი,**
**წყალტუბოს სამუზეუმო გაერთიანების მენეჯერი, წყალტუბოს საპატიო მოქალაქე**

**კიდევ ერთხელ ხელდამშვენებული ეწვია საქართველოს ამერიკაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე, ცნობილი მხატვარი ცისანა ჯანაშვილი, შვილთან – დალილა კრიხელთან ერთად.**

**ცისანა ჯანაშვილი ნახევარ საუკუნეზე მეტია უცხოეთში ცხოვრობს, მაგრამ მისი ცხოვრების მუდმივი თანამდევია საქართველო, მშობლიური თბილისი, სადაც დაიბადა და აღიზარდა თბილისის სამხატვრო აკადემიადამთავრებული პირველი ებრაელი მხატვრის მიხეილ ჯანაშვილის ოჯახში. მამის შემყურე, მხატვრობით ბავშვობიდანვე დაინტერესდა და სწავლა იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში განაგრძო. 70-იანი წლების დასაწყისში, ებრაელთა პირველი ალიის შემდეგ, აღთქმულ მიწას ჯანაშვილების ოჯახიც დაუბრუნდა. გარკვეული ხნის შემდეგ, ცისანა ჯანაშვილი ისრაელიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდა და დღემდე ნიუ-იორკის შტატის ქალაქ ქვინსში ცხოვრობს.**



ოტია იოსელიანის საფლავთან

# შვილთან ერთად საქართველოში

**ცისანა საქართველოს სიყვარულს მრავალფეროვნად გამოხატავს იმ ტილოებზე, რომელთა დიდი ნაწილი საქართველოს სხვადასხვა მუზეუმშია დაგინავებული. იგი არც ამჯერად ჩამოსულა ხელცარიელი – ორი შესანიშნავი ფერწერული ნამუშევარი გაღდათში ჩაიტანა და ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმს უსახსოვრა, თუმცა, სამწუხაროდ, ამ მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ, ბაღდათის საზოგადოებას არაფერი გააგებინეს და ამ სიშორიდან ჩამოსული მხატვარი მოსახლეობასაც ვერ შეხვდა, რაც საქართველოზე შეყვარებული ხელოვანისათვის დიდი იმედგაცრუება და შეურაცხმყოფელი დამოკიდებულებაც კი იყო.**

ცისანა ჯანაშვილმა წყალტუბოში დაათვალიერა უახლოესი მეგობრის ჯუმბერ ჯიშკარიანის მიერ აღმოჩენილი „პრომეთეს მღვიმე“, ესტუმრა ოტია იოსელიანის სახლ-მუზეუმს, რომლის კედელსაც ამშვენებს ცისანა ჯანაშვილის მიერ შექმნილი დიდი მწერლის პორტრეტი, რომელსაც მწერალმა სიცოცხლეშივე თავად მიუჩინა სათანადო ადგილი.



აკაკი ხიდაშელი, მარინა კახიანი, დალილა კრიხელი, ცისანა ჯანაშვილი და ივანე ჯაფარიძე

ქუთაისში ცისანა ჯანაშვილმა და დალილა კრიხელმა მოინახულეს ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, სადაც ინახება ცისანას მიერ შესრულებული ქართველ შინდლერად მონათლული საბა კლდიაშვილის ფერწერული პორტრეტი. გაიცნეს მუზეუმის სამაგალითო ხელმძღვანელი, შესანიშნავი ქალბატონი **ნონა ქარციძე.** ცისანა ჯანაშვილმა განაცხადა, რომ თუ კიდევ მოახერხებს საქართველოში ჩამოსვლას, თავისი ნახატების გამოფენას ქალბატონი ნონასადმი პატივისცემის ნიშნად, აუცილებლად გამართავს ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში.



სტუმრად ნონა ქარციძესთან მუზეუმში

ცისანა ჯანაშვილმა საბა კლდიაშვილის პორტრეტის ახალი ვარიანტი ჩამოიტანა თბილისში და უანგაროდ გადასცა დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმს, სადაც ცისანასა და მამამისის მიხეილ ჯანაშვილის მრავალი ფერწერული ტილო ინახება.

პორტრეტის გადაცემის საზეიმო ცერემონიალს ესწრებოდნენ თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსული პოეტები, მხატვრები, მწერლები, მსახიობები, მეცნიერები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები.

მუზეუმის დათვალიერების შემდეგ, მხატვართან შეხვედრის ღონისძიება გახსნა მუზეუმის დირექტორმა **გივი ღამბაშიძემ.** მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ და საკუთარი ლექსები მიუძღვნეს სტუმარს **ევა გაბალაშვილმა, ივანე ჯაფარიძემ, გურამ ცერცვაძემ, გურამ პაატაშვილმა, მანანა ტონიამ, მეგი მოლოდინმა, მარინე კოშკაძე-ღამბაშიძემ, ფისო ნავროზაშვილმა** და სხვ.

მოულოდნელი და განსაკუთრებული სიხარულის მიმნიჭებელი იყო ცისანა ჯანაშვილისათვის, მხატვართა კავშირის თავმჯდომარის გურამ ცერცვაძის მიერ გაცხადებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ქართულ მხატვრობაში შეტანილი წვლილისა და ქართულ თემატიკაზე შესრულებული უამრავი ნამუშევრებისათვის ცისანა ჯანაშვილი არჩეულია საქართველოს მხატვართა კავშირის წევრად.

ცისანას მეგობარმა, შესანიშნავმა მსახიობმა **აკაკი ხიდაშელმა,** სტუმრებთან ერთად მიგვიპატიჟა სანდრო მრევლიშვილისა და მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლებზე „მედეა“, „რეპეტიციის შემდეგ“, „აინშტაინის უკანასკნელი სიყვარული“, რომლებშიც მთავარ როლებს თავად ასრულებდა. სტუმრებმა გაიცნეს აკაკი ხიდაშელის პარტნიორი, შესანიშნავი მსახიობი მარინა კახიანი, ვისმა გაცნობამაც ცისანა ჯანაშვილზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და არ არის გამორიცხული, მისი მხატვრული სახე ცისანა ჯანაშვილის ტილოზეც გაცოცხლდეს.

ცისანა ჯანაშვილმა შვილს **დალილა კრიხელს** ის სახლი და უბნები აჩვენა, სადაც დაიბადა და გაიზარდა, სადაც გაატარა ბავშვობის დაუვიწყარი წლები.

ცისანა ჯანაშვილის ქალიშვილი – დალილა კრიხელი, რომელიც ამერიკაშია დაბადებული, პირველად იმყოფებოდა საქართველოში და უნდა ითქვას, რომ იგი საქართველოს სიყვარულით გაგიჟებული, უმდიდრესი შთაბეჭდილებებით დატვირთული დაბრუნდა ამერიკაში და გამოაცხადა: ამერიკაში ჩასვლის მეორე დღიდანვე იწყებს ფულის შეგროვებას, რათა უფრო ხანგრძლივი დროით ჩამოვიდეს საქართველოში.

დასავლეთ საქართველოდან ჩვენი გამომგზავრების ბოლო აკორდი გახლდათ, ჩვენი თანამგზავრისა და შეუცვლელი მეგზურის, უღალატო მეგობრის, მრავალმხრივი სიკეთით შემკული პიროვნების, დამსახურებული ჟურნალისტის, წყალტუბოს საპატიო მოქალაქის **მურთაზ კანკაძის** მოულოდნელი სიურპრიზი, როცა მან თავის უმშვენიერეს სოფელ მაღლაკში ჩაგვიყვანა ძვირფას სტუმრებთან ერთად, გაგვაცნო მეუღლე, შესანიშნავი ქალბატონი იზეტა, „ამერიკელი სტუმრები“ შეიყვანა თავის მოვლილ-ნასათუთევ ყანასა და ხეხილის ბაღში, საკუთარი ხელით „ააღებინა მოსავალი“, ხილიც დაუკრიფა, ეზოში გამოტანილ პატარა სუფრაზე, მისივე დაწურული ღვინით სტუმრები ვადღეგრძელეთ და გზაც დავულოცეთ.

ასე რომ, საქართველოში პირველად მყოფმა დალილა კრიხელმა სწორედ აქ იგრძნო და გაიგო, თუ რატომ აქვს დედამისს საქართველოს მუდმივი მონატრების განცდა. იმედი გვაქვს, ძვირფასი დედა-შვილი კვლავ ეწვევა საქართველოს, სადაც დიდი სიყვარულიც დახვდებათ და მასპინძლების ძებნაც არ დასჭირდებათ.

**დასასრულ, არ შეიძლება არ ითქვას, რომ დროის სიმცირის გამო, ცისანა ჯანაშვილმა ვერ შეძლო ამერიკიდან ჩამოტანილი ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და პაოლო იაშვილის ფერწერული პორტრეტები გადაეცა მათი სახელობის მუზეუმებისთვის და ამ საპატიო მისიის შესრულება მე დამავალა, როგორც მის წარმომადგენელს საქართველოში, რასაც აუცილებლად შევასრულებ.**

**ივანე ჯაფარიძე,**

საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ქართული კულტურის რაინდი.

# „გზავნილი მშვიდობას“ ანტონ ფურცელაძის სახლიდან

**კულტურის სამინისტროსა და სსიპ შემოქმედებითი საქართველოს მხარდაჭერით ანტონ ფურცელაძის მემორიალურ სახლში ღონისძიება გაიმართა.**

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ცნობილი ქართველი მწერლის, პოეტისა და მთარგმნელის ანტონ ფურცელაძის დროებით საოკუპაციო ხაზთან, სოფელ არბოში მდებარე საცხოვრებელ სახლში, რომლის რეკონსტრუქცია-რესტავრაცია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ 2024 წელს დაასრულა, ხელოვნების ფესტივალი „გზავნილი მშვიდობას“ გაიმართა. ფესტივალის ორგანიზატორია სტუდია ARTVISION.



**ღონისძიების ფარგლებში სკოლის მოსწავლეების, პედაგოგებისა და მოწვეული სტუმრებისთვის სამი დოკუმენტური ფილმის: „ნიკოს გზა“, „ხელოვანი თუ ხელოსანი“ და „ანიმაციის თავგადასავალი საქართველოში “ ჩვენება მოეწყო. ღონისძიებას საქართველოს პარლამენტის წევრი გიორგი სოსიაშვილი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების სამსახურის ხელმძღვანელი ლელა ბარამაშვილი, ძეგლთა რეაბილიტაციის სამსახურის ხელმძღვანელი ირინე საბაშვილი და სხვა მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.**

მომავალში ანტონ ფურცელაძის მემორიალურ სახლში დაგეგმილია სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობები, რაც საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მცხოვრები ახალგაზრდებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.



### ელგუჯა მელაძე, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი:

# ვინმეს თუ მუშაობა უნდა, დღეს ქვეყანაში ამის პრობლემა არ არის!



## რა შეიძლება მოჰყვეს საჯარო სექტორში ერთზე მეტ ადგილზე დასაქმების აკრძალვას?

**1 ნოემბრიდან საჯარო მოხელეები ერთზე მეტ ანაზღაურებად თანამდებობაზე დასაქმებას ვეღარ შეძლებენ. ეს შრომის ბაზარზე ვითარებას შეცვლის, თუმცა არა დრამატულად. საერთო სურათი, სავარაუდოდ, წლის ბოლოსთვის გამოიკვეთება. ჯერჯერობით, საჯარო სექტორში დასაქმებულებს დიდი უკმაყოფილება არ გამოუთქვამთ. ამიერიდან პირს, რომელიც ერთზე მეტ ანაზღაურებად თანამდებობას დაიკავებს, ვალდებულება ექნება, დატოვოს ყველა პოზიცია და ორი წლის განმავლობაში ჩამოშორდეს საჯარო სექტორში საქმიანობას. გარდა ამისა, ის ვალდებული იქნება, მიღებული ანაზღაურება სახელმწიფო ბიუჯეტში დააბრუნოს. ამავე პაკეტში შესული ცვლილებებით, 1 აგვისტოდან, მრჩევლის პოზიცია არაანაზღაურებადი გახდა. თუმცა, შესაბამისი დადგენილებით, უკვე შეიქმნა ე.წ. დეფიციტური პროფესიების სია, რომელზეც არ გავრცელდება კანონის ეს ნაწესი.**

**„შეუძლებელია 8 საათი ორ ან სამ სხვადასხვა სამსახურში იმუშაო, ეს პრაქტიკა უნდა შეიცვალოს – თუ ორგან მუშაობის მიზეზი არის ის, რომ საკმარისი არ არის ადამიანის შემოსავალი, ამისათვის უნდა გავზარდოთ ანაზღაურება“,** – ასე გამოეხმაურა პრემიერ-მინისტრი, **ირაკლი კობახიძე** აღნიშნულ ცვლილებებს.

სპეციალისტების ერთი ნაწილი საუბრობს იმაზე, რომ ხელოვნურად გაბერილი შტატები შეიკვეცება. სოციოლოგი **პაატა აროშიძე** მიიჩნევს, რომ ცვლილებების შედეგად, კონკრეტულ პოზიციებზე საქმის რეალურად გამკეთებელი ადამიანი დარჩება.

**„ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე ადამიანი ირიცხებოდა რამდენიმე საჯარო დაწესებულებაში. ამ შემთხვევაში, პრობლემა იყო იმ უფლებამოსილების შესრულება, რომელიც დაკისრებული აქვს ამა თუ იმ საჯარო მოხელეს. ამისათვის 40-საათიანი სამუშაო კვირა არის განსაზღვრული. აქ საკითხი დგება ასე, თუ ადამიანი 2-3 ადგილას არის დასაქმებული, როგორი კეთილსინდისიერებით ასრულებს ის დაკისრებულ მოვალეობას? ხომ არ არის ხშირი შემთხვევა, როდესაც სხვას გადააბარებს საკუთარ საქმეს, თხოვნით ან დაპირებით და თავად იღებს ანაზღაურებას?“,** – აღნიშნა **აროშიძემ.**

მისივე შეფასებით, დაახლოებით, ერთ თვეში, ყველაფერი თავის ადგილზე დადგება, როცა რეალურად მოხდება გარკვეული საქმიანობის გამიჯვნა, ნებართვებიდან გამომდინარე და უკეთესობისკენაც კი წავა სიტუაცია.

**„ვფიქრობ, საქმის რეალური გამკეთებელი ადამიანი დარჩება კონკრეტულ ადგილზე. საკუთარი გამოცდილებით გეტყვით, კერძო სტრუქტურაში რამდენიმე ადგილას დასაქმების დროს, როდესაც ადამიანი 2-3 ადგილას მუშაობს, ის ე.წ. გადარბენაზეა და შედეგად, ისეთი ეფექტიანობით ვერ ასრულებს სამუშაოს, როგორც ერთ ადგილზე მიმაგრებული თანამშრომელი. თუ საჯარო დაწესებულებებში ხელფასების ზრდა ყოველ წელს გაგრძელდება, ეს იქნება იმის მაკომპენსირებელი, რაც მეორე სამსახურის ანაზღაურებიდან გამომდინარეობდა. საბოლოო ჯამში, კონტროლისა და მოწესრიგების კუთხით ექნება დიდი ეფექტი“,** – განაცხადა „ბიზნესპრესნიუსთან“ **აროშიძემ.**

საკუთარი პოზიცია, იურისტმა **ნიკა სიმონიშვილმაც** გამოხატა:

**„ეს ცვლილებები საჯარო სექტორში დასაქმებული პირებისთვის პარალელური დასაქმების შესაძლებლობას ზღუდავს. ამ ცვლილებებს ვრცელი შინაარსი აქვს, ამიტომ ყველაზე მნიშვნელოვანს შევეხები:**

**საჯარო მოსამსახურეს სამეცნიერო, პედაგოგიური, შემოქმედებითი საქმიანობის განხორციელება მხოლოდ მისი ხელმძღვანელის თანხმობით შეეძლება. ეს თანხმობა ერთჯერადია და ერთწლიანი ვადა აქვს. რაც შეეხება უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დაკავებას, ამისთვისაც შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის თანხმობაა საჭირო, რომელიც გაიცემა კონკრეტული საქმიანობის შესაბამისი ვადით;**

**საჯარო სექტორში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულს (მათ შორის, სსიპ-ში, საჯარო ა(ა)იპ-ში ან შპს-ში) შეუძლია პარალელურად დასაქმდეს კერძო სექტროში მხოლოდ მისი ხელმძღვანელის თანხმობით. ეს თანხმობა ერთჯერადია და ერთწლიანი ვადა აქვს;**

**საჯარო სექტორში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულს (მათ შორის, სსიპ-ში, საჯარო ა(ა)იპ-ში ან შპს-ში) არ შეუძლია პარალელურად დასაქმდეს საჯარო სექტროში. გამონაკლისია მხოლოდ მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ ჩამონათვალში თუა ეს საქმიანობა და თუ დირექტორი გასცემს თანხმობას პარალელურ დასაქმებაზე. ეს თანხმობა ერთჯერადია და ერთწლიანი ვადა აქვს;**

**თუ საჯარო სექტორში დასაქმებული პირი ამ წესებს არღვევს, გათავისუფლდება ყველა დაკავებული თანამდებობიდან და ორი წლის განმავლობაში აეკრძალება მუშაობა საჯარო სამსახურში.**

**ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ამ წესების დარღვევისთვის საჯარო სექტორში დასაქმებულ პირს ეკისრება კომპენსაციის გადახდა შესაბამისი დაწესებულების სასარგებლოდ, 1 ნოემბრის შემდეგ მიღებული შრომის ანაზღაურების ოდენობით“,** – აღნიშნა **სიმონიშვილმა.**

ზოგადად კი ქვეყანაში დასაქმების შესაძლებლობები არსებობს, თუმცა შრომის ბაზარი კარგად ვერ პასუხობს მოთხოვნას. როგორც საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტმა **ელგუჯა მელაძემ** განმარტა, აუცილებელია მუდმივი კვლევები და პროფესიული მომზადება, რადგან მრავალი პროფესია საბაზრო ეკონომიკის პირობებში კვდება, შრომის ბაზარი კი ამ განახლებებს უნდა მოერგოს.

**„სულ ვამბობ, რომ ვინმეს თუ მუშაობა უნდა, დღეს ქვეყანაში ამის პრობლემა არ არის. რომელიმე კომპანია, დავუშვათ, ზეინკალს ეძებს, მაგრამ ამ უმუშევარმა ადამიანმა არ იცის ეს საქმე? მივიდეს პროფესიულ სასწავლებელში, სადაც არაფერს არ იხდი, აქეთ გაძლევენ სტიპენდიას, გადაემზადე, მიდი და დასაქმდი, არავითარი პრობლემა არ არის. თუმცა, როგორც ჩანს, ეს მექანიზმი მთლად ისე არ მუშაობს, როგორც ჩვენ გვინდა. ამიტომაც ვამბობ, რომ შრომის ბაზარი უნდა გავაანალიზოთ, შრომის ბაზარს მუდმივი კვლევები სჭირდება. მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ბევრი პროფესია კვდება – ბევრი მიდის და ახალი შემოდის. ეს მხოლოდ საქართველოში არ ხდება, მთელ მსოფლიოში ასეა“,** – აღნიშნა **ელგუჯა მელაძემ.**



### დავით ნარმანია:

# ერთ-ერთი გამოსავალია მარეგულირებელი ჰესების მშენებლობა...



**ელექტროენერგიის მოხმარება ქვეყანაში წლიდან წლამდე 3-დან 5%-მდე იზრდება. ტემპი საკმაოდ მაღალია, მით უფრო იმ ფონზე, რომ დარგის განვითარება ძალიან შეფერხებულია. როგორც ენერგეტიკოსები აღნიშნავენ, ელექტროენერგიის მოხმარება საგანგაშო ზღვარს 5-7 წელიწადში მიაღწევს.**

**ელექტროენერგიის იმპორტის გამო,** ქვეყნიდან რამდენიმე ათეული მილიონი დოლარი გადის. განახლებადი ენერგიის განვითარების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის **მაია მელიქიძის** შეფასებით, მნიშვნელოვანია, გადაწყვეტილებების მიღება ძალიან სწრაფად მოხდეს და ქვეყანა გენერაციის გაზრდის მიმართულებით ერთბაშად გააქტიურდეს.

**„ენერგეტიკა ძალიან კომპლექსური დარგია. მოდით, შევხედოთ იმ პრობლემებს, რომელთა წინაშეც ქვეყანა დგას – ელექტროენერგიის მოხმარება წლიდან წლამდე იზრდება. მოხმარებას, სამწუხაროდ, გენერაცია ვერ ეწევა, აღნიშნული საკითხი ჩვენთვის ძალიან დიდი გამოწვევაა, ამიტომ საიდანღაც ელექტროენერგია უნდა მოვიტანოთ და ეს იმპორტი გახლავთ. იმპორტი ავტომატურად ნიშნავს ქვეყნიდან რამდენიმე ათეული მილიონი დოლარის გასვლას.**

**კრიტიკულად მნიშვნელოვანია, გადაწყვეტილებების მიღება ძალიან სწრაფად მოხდეს. დარეზერვებულია სიმძლავრეები, რომლის ათვისებაც ვერ ხდება. კერძოდ, ელექტროენერგია, როგორც ნებისმიერი სხვა პროდუქტი იწარმოება, შემდეგ მისი გადაცემა, განაწილება და მიწოდება ხდება. სადაც აშენდება ჰიდროელექტროსადგური, თუ ქარის ელექტროსადგური, ელექტროენერგიის გამოტანა და ბოლო მიმწოდებლამდე მიტანა უნდა მოხდეს“,** – განაცხადა **მელიქიძემ.**

მანვე ხაზი გაუსვა, რომ ქვეყანაში ჰიდროენერგიის ხელშეწყობაა საჭირო, რადგან ქარისა და მზის ენერგიაზე გადაჭარბებული მოლოდინის შექმნა არ შეიძლება.

**„რაც შეეხება მზის ენერგიას, ჩვენ არ ვამბობთ, რომ მზის ენერგია ცუდია, მაგრამ ჰიდროს ვერასდროს ჩაანაცვლებს. გვჭირდება ელექტროენერგიის სტრატეგია – კონკრეტული ვადებით და შეფასების ინდიკატორით. ქვეყანაში 26 000 მდინარეა, მაგრამ ყველას გამოყენება იმისთვის, რომ ელექტროენერგიის გენერაცია უზრუნველვყოთ, არ შეიძლება, თუნდაც გარემოსდაცვითი კომპონენტიდან გამომდინარე“,** – აღნიშნა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა.

ვითარება რომ უარესდება, ამაზე საუბრობს მცირე და საშუალო ჰესების ასოციაციის ხელმძღვანელი, **გიორგი მარგებაძე**. მისი თქმით, ქვეყანაში ელექტროენერგიის მოხმარება წლიდან წლამდე იზრდება, საგანგაშო ზღვარს კი 5-7 წელში მიაღწევს, რასაც გენერაცია ვერ ეწევა. შესაბამისად, რაც შეიძლება მალე უნდა მოხდეს ელექტროსადგურების ექსპლუატაცია.

**„დღეს ჩვენ 30-32%-ით დამოკიდებულები ვართ მეზობლებზე, რაც ცოტა არ არის, თან ეს იზრდება და იზრდება. ამიტომ აუცილებელია მობილიზება – სახელმწიფო, კერძო სექტორი, ადგილობრივი მოსახლეობა – ამაზე უნდა დავიწყოთ სერიოზული ფიქრი, რომ რაც შეიძლება, მალე შევიყვანოთ ექსპლუატაციაში ჰიდროელექტროსადგურები, ასევე, რა თქმა უნდა, ქარისა და მზის სადგურები.**

**მე ყოველთვის ვამბობ, რომ საჭიროა დაბრუნდეს ენერგეტიკის სამინისტრო იმიტომ, რომ ენერგეტიკა არის ყველაზე მნიშვნელოვანი არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელ მსოფლიოში. ყველაფერი, რაც ხდება, ენერგორესურსების გამო ხდება. არ ვიცი, შერიგებისა და ამხანაგობების სამინისტროები გვაქვს და ენერგეტიკის სამინისტრო რა გახდა, რომ დავაბრუნოთ?! უნდა შეიქმნას ძლიერი სამინისტრო, სადაც იმუშავებენ პროფესიონალები“,** – განაცხადა „პალიტრანიუსის“ **ეთერში მარგებაძემ.**

სემეკ-ის თავმჯდომარე **დავით ნარმანიაც** ადასტურებს, რომ დღესდღეობით მარეგულირებელი ჰესების მშენებლობა მნიშვნელოვანი ელემენტია იმისთვის, რომ ქვეყანამ გაზრდილი მოხმარების პირობებში, საკმარისი ელექტროენერგიის გამომუშავება შეძლოს.

**„საქართველო ბოლო წლებში ხდება ციფრული ჰაბი. მნიშვნელოვანია ის, რომ „დატა ცენტრები“ ვითარდება და უფრო მეტ ენერგიას მოიხმარენ. პარალელურად, მიმდინარეობს ელექტრომობილების განვითარების ხელშეწყობა. ქვეყანაში სულ უფრო მეტი ელექტრომობილი შემოდის.**

**ჩვეულებრივ მოხმარებასთან ერთად, ეს ორი მიმართულებაც დამატებით ენერგიას მოითხოვს. აქედან გამომდინარე, მომავალში კიდევ უფრო მეტი ელექტროენერგია იქნება საჭირო. მარეგულირებელი ჰესების მშენებლობა ერთ-ერთი გამოსავალია“,** – განაცხადა **დავით ნარმანიამ.**

**ბექა დანელია**

**მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნების“ ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავება და მათთან დაკავშირებული პირების მიმართ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები ვიხილეთ, ლოგიკურად ჩნდება კითხვა: დააკავებენ თუ არა ირაკლი ღარიბაშვილსა და გრიგოლ ლილუაშვილს. ამასთან დაკავშირებით, ბევრი მოსაზრება მოვისმინეთ, მათ შორისაა ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელიც ფიქრობს, რომ ყოფილ მაღალჩინოსნებს არ დაიჭერენ, თუმცა შესაძლოა, ისინი უბედური შემთხვევის მსხვერპლნი აღმოჩნდნენ, ან „მოულოდნელი სენი დაემართოთ“. ანალიტიკურ წრეებში ამბობენ, რომ თუკი იყო სამართლებრივი დარღვევები „ოცნების“ ყოფილი პოლიტიკური ლიდერების მხრიდან, რა თქმა უნდა, ისინი კანონის შესაბამისად აგებენ პასუხს.**

# „მელას რაც ელანდებოდა, ის ესიზმრებოდა“!





## „გამოცდილი კაცია სააკაშვილი და ეცოდინება, რა დროს ემართება ადამიანს „უბედური შემთხვევები“...

**„ჩემი აზრით, ბიძინა ივანიშვილი, ღარიბაშვილს და ლილუაშვილს არ დაიჭერს რამდენიმე მიზეზის გამო: მათ იციან სიმართლე ეროსი კიწმარიშვილის „თვითმკვლელობის“ და შემდეგ ეროსის ოჯახის ჩაჩუმების შესახებ. ისინი მონაწილეობდნენ რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში და ასევე, 2022-დან, რუსული ფულის გათეთრებაში. მათ იციან ყველა დეტალი რუსთავის ციხეში ჩემს მოწამვლაზე, ამიტომ მათ შეიძლება უბედური შემთხვევა შეემთხვეთ, ან რაიმე „მოულოდნელი სენი დაემართოთ“, მაგრამ ციხე, ვფიქრობ, არ ელით“,** – დაწერა **სააკაშვილმა** სოციალურ ქსელში.

ამასთან, თბილისის მერმა, **კახა კალაძემ** ჟურნალისტების შეკითხვას, ხომ არ ელოდება ინფრასტრუქტურის ყოფილი მინისტრის, ირაკლი ქარსელაძის დაკავებას, აღნიშნა, რომ ვინ იქნება დაკავებული, ამაზე საუბარი გაუჭირდება, თუმცა ფაქტი ძალიან მძიმე და საწყენია.

**„ვინ იქნება დაკავებული, მე ამაზე გამიჭირდება საუბარი. ამასთან დაკავშირებით, შესაბამისი უწყებები გააკეთებენ განმარტებას. ყველაფერი დამოკიდებულია გამოძიებაზე. შესაბამისად, წინასწარ რამე განმარტების გაკეთება, აღნიშნულთან დაკავშირებით, გამიჭირდება. ფაქტი ძალიან მძიმეა, ძალიან ცუდია. საწყენია, როდესაც საქმე ეხება ყოფილ თანაგუნდელებს, რა თქმა უნდა, ეს კიდევ უფრო დამამძიმებელია“,** – განაცხადა **კალაძემ.**

ანალიტიკოსმა **რამაზ საყვარელიძემ** სააკაშვილის განცხადება შეაფასა და აღნიშნა, რომ ყოფილი პრეზიდენტი, დიდი ალბათობით, საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე საუბრობს:

**„გამოცდილი კაცია სააკაშვილი და ეცოდინება, რა დროს ემართება ადამიანს „უბედური შემთხვევები“, როცა ბევრი რამ იცის. თავად სააკაშვილმაც ძალიან ბევრი რამ იცის ევროსტრუქტურების, რუსული სტრუქტურების და ა.შ. შესახებ. ასე რომ, ეს რეპლიკა იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ ის საკუთარ თავზეც იფიქრებდა – ვინმესთვის ხელსაყრელი ხომ არ არის მისი განეიტრალება და ხომ არ გადადგამენ ამ ნაბიჯს. ფიქრობს, რომ მისთვის დაპატიმრება გადარჩენაა ისევე, როგორც მიაჩნია, რომ ღარიბაშვილისა და ლილუაშვილისთვის პატიმრობა შეიძლება გადარჩენა იყოს“,** – განგვიცხადა **რამაზ საყვარელიძემ.**

ანალიტიკოსი **ედიშერ გვენეტაძე** კი ამბობს, რომ ღარიბაშვილსა და სააკაშვილს შორის ტოლობის დასმა არასწორი იქნებოდა, რადგან ღარიბაშვილი ემსახურებოდა სამშობლოს, ხოლო სააკაშვილი საქართველოს ომში ჩაბმას ცდილობდა.

**„მელას რაც ელანდებოდა, ის ესიზმრებოდა – სააკაშვილი არის გაკოტრებული პოლიტიკოსი და გაკოტრებული ყოფილი პრეზიდენტი. სააკაშვილმა საქართველო დაყო ფაშისტებად და დანარჩენ ქართველებად. ფაშისტებში მოიაზრებს საკუთარ თავს. სააკაშვილის ფიქრები ერთადერთ რამეს ემსახურება, როგორმე სიტუაცია საკუთარი თავისკენ შემოაბრუნოს, მაგრამ ეს არ მოხდება**

**ქვეყანაში ისეთი მდგომარეობაა, რომ ვინც დანაშაული ჩაიდინა, ის შესაბამის სასჯელს მიიღებს. ღარიბაშვილსა და ლილუაშვილს შესაძლოა ჰქონოდათ გადაცდომები, შეცდომები, მაგრამ სააკაშვილსა და მათ შორის არის ძალიან დიდი სხვაობა. ისინი ემსახურებოდნენ სამშობლოს, სააკაშვილი კი საქართველოს ომში ჩაბმას უპირებდა. ასევე, გარე ძალებთან ერთად, სააკაშვილი ჩართული იყო გადატრიალების საქმეში“,** – განაცხადა **ედიშერ გვენეტაძემ** For.ge-სთან ინტერვიუში.

**ნიკო ჩოხელი**

# ამერიკის ჩინური სარტყელი

**ვაშინგტონი აგრძელებს „დიდი თამაშის“ ახალ რაუნდს: რას ნიშნავს ტრამპის და ცენტრალური აზიის ლიდერების შეხვედრა. 6 ნოემბერს ვაშინგტონში გაიმართა აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის შეხვედრა ცენტრალური აზიის ხუთი ქვეყნის – ყაზახეთის, უზბეკეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის და თურქმენეთის ლიდერებთან. ფორმატი ცნობილია როგორც C5+1. ის უკვე ათი წელია არსებობს, მაგრამ ახლა პირველად გადადის უმაღლეს დონეზე – პრეზიდენტების პირად დიალოგზე.**

**მიზეზი მარტივია: გლობალური სამყარო იცვლება, და ცენტრალური აზია კვლავ ხდება რესურსებისა და სატრანსპორტო მარშრუტების გარშემო მსოფლიო კონკურენციის საკვანძო არენა. რატომ სჭირდება ვაშინგტონს ცენტრალური აზია? – შეერთებული შტატებისთვის დღეს გადამწყვეტია რამდენიმე მიმართულება:**

**სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მინერალები და იშვიათი მეტალები** – უძლიერესი ტექნოლოგიებისთვის აუცილებელი რესურსები, რომლებიც ფართოდ მოიპოვება ყაზახეთსა და უზბეკეთში.

**ტრანსკასპიური (საშუალო) კორიდორი** – ალტერნატიული სავაჭრო გზა ევროპასა და აზიას შორის რუსეთის გვერდის ავლით.

**ჩინეთის ეკონომიკური გავლენის შეზღუდვა და დამოკიდებულების შემცირება ჩინური მიწოდების ჯაჭვებზე.**

**სანქციების გვერდის ავლის არხების კონტროლი რუსეთის მიმართულებით.**

აშშ აცნობიერებს: რუსეთის ტრადიციულ „პროქსი“-ზონაში „წნეხით“ საუბარი არ იმუშავებს. სამაგიეროდ, იმუშავებს ინვესტიციების, ტექნოლოგიებისა და ბაზრებზე წვდომის შეთავაზება – გაცვლითი პოლიტიკური თანხმობისა და სატრანზიტო მაჩვენებლების ოპტიმიზაციის სანაცვლოდ. იმუშავებს ყველაფერი, რაშიც საქართველოს წლების განმავლობაში ცივი უარით ისტუმრებდნენ: გამარტივებული სავიზო რეჟიმით დაწყებული, პირდაპირი ფრენებით და თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით დასრულებული.

**საინტერესოა, რას ეძებენ თავად ცენტრალური აზიის ქვეყნები ვაშინგტონში? რეგიონის სახელმწიფოებს საკუთარი სტრატეგიული ინტერესები აქვთ:**



**ეკონომიკური დივერსიფიკაცია – მხოლოდ ერთ დონორ ქვეყანაზე დამოკიდებულების შემცირება.**

**ინფრასტრუქტურული და საინვესტიციო რესურსები, განსაკუთრებით ენერგეტიკისა და გადამუშავების სექტორებში.**

**გეოპოლიტიკური ბალანსი – არც მოსკოვის და არც პეკინის „ჩრდილში“ დარჩენა.**

უკანასკნელი წლები რეგიონში თავისდაუნებურ რეალპოლიტიკას აყალიბებს ყაზახეთი და უზბეკეთი, რომლებიც ზომიერი რეფორმებით იძენენ დამატებით სუვერენულ სივრცეს. თურქმენეთი ფრთხილად იღებს მონაწილეობას ამ ყველაფერში, ხოლო ტაჯიკეთი და ყირგიზეთი ცდილობენ ფინანსური მხარდაჭერის განსხვავებული წყაროების მოზიდვას.

ამ ვიზიტმა, სამხრეთ კავკასიის კონტექსტში, კიდევ ერთხელ დაადასტურა ჯერ კიდევ 2018 წელს ჰელსინკიში ტრამპსა და პუტინს შორის პოსტსაბჭოთა სივრცეში ზეგავლენების გადანაწილების ბალანსზე შეთანხმება: აშშ-ის ინტერესი – ჩინეთის გარშემო სარტყლის სახით, რუსეთის ინტერესი – სამხრეთ კავკასია. ნურავინ შეიყვანოს შეცდომაში ტრამპის „სამშვიდობო პერფორმანსმა“ ვაშინგტონში სომხეთისა და აზერბაიჯანის ლიდერებთან, საიდანაც მალევე ერთი – კამბოჯასთან, ხოლო მეორე ალბანეთთან შეარიგა. შემთხვევითი არაა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ სამხრეთ კავკასიის შესახებ საკუთარი ქვეყნის ზეგავლენის არეალის შეხსენება სწორედ რომ C5+1 სამიტის წინ.

**რაიმე დიდ, ისტორიულ ხელშეკრულებებს ადგილი არ ჰქონია – გაკეთდა საერთო პოლიტიკური განცხადებები თანამშრომლობისა და სტაბილურობის მხარდაჭერაზე. უახლოესი თვეები დაგვანახვებს, შეძლებს თუ არა ვაშინგტონი ამ განაცხადების რეალური დაფინანსებით გამყარებას, და შეძლებენ თუ არა ცენტრალური აზიის ლიდერები დაბალანსებულ პოლიტიკურ თამაშს ოთხ ცენტრს შორის – აშშ, ჩინეთი, რუსეთი, თურქეთი. თუ ეს ბალანსი შეძლებს დამკვიდრებას, „შუა დერეფანი“ გადაიქცევა არა მხოლოდ გეოგრაფიულ ჯაჭვად რუკაზე, არამედ რეალურ ეკონომიკურ არტერიად.**

**დავით ქართველიშვილი**

# კარგი ამბები



## ძიუდო

**დიერი (უნგრეთი).** კადეტთა შორის ევროპის თასის გათამაშება. **ოქრო** – გიორგი მჭედლიშვილი(73კგ), ილია ზაკუტაშვილი(+90კგ). **ვერცხლი** – ალექსი გულუა(60კგ). **ბრინჯაო** – გიორგი კაპანაძე(66კგ).

## ფუტსალი

**თბილისი. ამხანაგური მატჩები. საქართველო-ესტონეთი 5:0 და 10:1.**

შეგახსენებთ, რომ ჩვენი გუნდი ევრო-2026-სთვის ემზადება და **ა ჯგუფში** მისი მეტოქეები მასპინძელი ლატვია, ხორვატეთი და საფრანგეთი იქნებიან.

## ძალოსნობა

**უკვე გაუწყეთ, რომ ალბანურ დურესში ქართველთა 30-მედლიანი ტრიუმფით დასრულდა ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი.**

დამატებით გაცნობებთ, რომ ფორუმის დასკვნით დღეს +110 კილოში ბრინჯაო აკვრაში **ირაკლი ვეკუამ** დაიმსახურა, 3-3 ოქროსა და კონტინენტის რეკორდის მფლობელი 88 კილოში ლევან ოჩიგავა პირველი ქართველი ძალოსანია, რომელიც ევროპის ფედერაციის ათლეტთა კომისიის წევრად აირჩიეს, ჩვენი ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი **რუსუდან მურადაშვილი** კი ასევე პირველი ქართველი ქალია, ვინც კონტინენტის ძალოსნობის ფედერაციის გამგეობის წევრად აირჩიეს.

## კარატე

**რიგა (ლატვია).** ევროპის მე-15 ჩემპიონატი 35 ქვეყნის 1500-მდე სპორტსმენის მონაწილეობით. **ორგანიზატორი** – მსოფლიოს ერთიანი კარატეს ფედერაცია (**WUKF**. პრეზიდენტი მე-10 დანის მფლობელი **ლივიუ კრისანი).** საქართველოს 15-წევრიანი დელეგაცია – 6 მედალი. **ოქრო** – ალექსანდრე შამუგია (პარადისციპლინა). უფროსთა ინდივიდუალური კატა. **ვერცხლი** – შავი ქამრის მე-5 დანის მფლობელი ჭაბუკა მახარაძე(მსოფლიოს 4-გზისა და ევროპის 5-გზის ჩემპიონი) – უფროსთა ინდივიდუალური კუმიტე. დავით გულოიანი (20-წლამდელთა 65კგ წონითი კატეგორიის კუმიტე). **ბრინჯაო** – ირაკლი ღონღაძე, საბა სულამანიძე, სანდრო იაკობიძე.

## კალათბურთი

**აშშ. კოლეჯების ლიგა.** პირველი ტური. სან ფრანცისკო-სანტა კრუზი 98:53. 23 წლის **საბა გიგიბერია –** 8 ქულა, 6 მოხსნა, 4 ასისტი, 2 დაფარება 11 წუთში. იგი მასპინძელთა გუნდის წევრია.

## ჭადრაკი

**ბუდვა (მონტენეგრო).** ევროპის ასაკობრივი ჩემპიონატი 45 ქვეყნის 1200-მდე ბავშვისა და მოზარდის მონაწილეობით. შვეიცარიული სისტემა (9 ტური). **ვერცხლი** – თეა რუსიტაშვილი (12-წლამდელები). **მწვრთნელი** – დიდოსტატი დავით მაღალაშვილი, **კონსულტანტი** – დიდოსტატი დავით ზენიძე).

# გულახდილი კაპიტანი

**საქართველოს** მორაგბეთა ნაკრების მორაგბემ **ბექა გორგაძემ** აშშ-ს ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში გამარჯვების (43:30) შემდეგ კომენტარი გააკეთა.



**„გუნდის მიზანი გამარჯვება იყო და კარგია ეს რომ შევძელით. ასევე გვინდა გავაგრძელოთ. ამერიკამ მომენტი დაიჭირა და ეს კარგად გამოიყენა. ყოველთვის ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც ჩვენ გვინდა. ჩვენი სიძლიერე ისაა, რომ შევძელით შეცდომების გამოსწორება და საჭირო რეაგირება მოვახერხეთ. საბოლოოდ ის შედეგი ითვლება, რაც ტაბლოზეა და მოხარულები ვართ გამარჯვება რომ მოვახერხეთ. სამუშაო ბევრია და ვიმედოვნებ შემდეგ თამაშს ოპტიმალურ კონდიციებში შევხვდებით“**, – თქვა გორგაძემ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები მომდევნო ამხანაგურ მატჩს 15 ნოემბერს, ისევ ბათუმში ჩაატარებს, ამჯერად კანადის ნაკრებთან, ხოლო სერიებს 22 ნოემბერს, თბილისში, იაპონიასთან მატჩით დაასრულებს.

# 900-იანი თამასა



**„ვაშინგტონ კეპიტალზის“ თავდამსხმელმა ალექსანდრ ოვეჩკინმა ეროვნული ჰოკეის ლიგის რეგულარულ სეზონში თავისი მე-900 გოლი გაიტანა. ეს მოხდა ჩრდილოეთ ამერიკის ლიგის მატჩში, „სენტ ლუისის“ წინააღმდეგ (6:1).**

ოვეჩკინი გახდა პირველი მოთამაშე ჰოკეის ისტორიაში, რომელმაც NHL-ის რეგულარულ სეზონში 900 გოლი გაიტანა. ეს გოლი 40 წლის თავდამსხმელის მესამე გახლდათ ამ სეზონში ჩატარებულ 13 თამაშში. კარიერაში 1504 შეხვედრაში მან 900 შაიბა გაიტანა და 731 საგოლე გადაცემა შეასრულა.

# საფეხბურთო მოზაიკა

**კვარამ ლიგა 1-ში უგოლო სერია შეწყვიტა, რომელიც გასული სეზონიდან იღებდა სათავეს საფრანგეთის ლიგა 1-ში „პარი სენ-ჟერმენმა“ ზედიზედ მეორედ ბოლო წუთზე მოიგო. ერთი კვირის წინ „ნიცასთან“, ახლა „ლიონთან“, ლუის ენრიკეს გუნდმა მაგრად იწვალა, მაგრამ მიზანს მაინც მიაღწია.**

**ხვიჩა კვარაცხელიამ** ერთი გოლი გაიტანა, რითაც ლიგა 1-ში დიდხნიანი მშრალი სერია შეწყვიტა.

ანგარიში 26-ე წუთზე უორენ ზაირ-ემერის გოლით გაიხსნა, რასაც ალფონსო მორეირამ ოთხ წუთში უპასუხა. თუმცა, 33-ე წუთზე ხვიჩამ დალაშქრა მეტოქის კარი, როცა მეკარესთან პირისპირ დარჩა და ანგარიში 2:1 გახადა.

ლიგა 1-ში კვარაცხელიამ მიმდინარე სეზონში პირველად გაიტანა. ბოლოს ჩემპიონატში გასულ სეზონში, 17 მაისს გაეტანა და 176-დღიანი უგოლო სერია შეწყვიტა (ლიგა 1-ში).

„ლიონმა“ მეორე ტაიმის დასაწყისში მეიტლანდ-ნაილსის გოლით გაათანაბრა და მერე მოსაგებად თამაში სცადა, რაც არ გამოუვიდა. 95-ე წუთზე კი სულაც გაუშვა, როცა ტანდაბალი ჟოაო ნევეშისგან თავით მიიღო გადამწყვეტი გოლი. პარიზელებმა 3:2 მოიგეს.

ხვიჩა კვარაცხელიას მიმდინარე სეზონში ყველა ტურნირზე 14 მატჩში 3 გოლი აქვს გატანილი და 3-ჯერ საგოლე პასი გააკეთა. კონკრეტულად ლიგა 1-ში მან 10 თამაშში პირველი გოლი გაიტანა და ორი საგოლე პასიც აქვს.

აღსანიშნავია, რომ ხვიჩა კვარაცხელია ამ გოლით გახდა ქართველ ფეხბურთელებში ტოპლიგების ბომბარდირი: მან სერია A-სა და ლიგა 1-ში 33 გოლი გაიტანა დღემდე, რითაც გადაასწრო **ლევან კობიაშვილსა** და **ალექსანდრე იაშვილს**, რომელთა აქტივში 32-32 გოლია.

„პარი სენ-ჟერმენი“ ლიგა 1-ს 27 ქულით ლიდერობს, მხოლოდ ორი ქულით უსწრებს „მარსელსა“ და „ლანსს“, მომდევნო ტურში კი, 22 ნოემბერს, „ლე ავრს“ უმასპინძლებს.

* * *

**გიორგი მამარდაშვილს 2023-2024 წლების სეზონიდან 6 პენალტი აქვს მოგერიებული, რაც ტოპლიგებში (პრემიერლიგა, სერია A, ლა ლიგა, ბუნდესლიგა, ლიგა 1) ამ პერიოდში საუკეთესო შედეგია.**

2023 წლიდან გიორგიზე მეტი პენალტი ხსენებულ ხუთ ჩემპიონატში არავის მოუგერიებია.

ხსენებულ პერიოდში მამარდაშვილმა კიკე გარსიას (ალავესი), ალექს ბაენას (ვილიარეალი), ანტე ბუდიმირის (ოსასუნა), იაგო ასპასის (სელტა), ვინისიუსის (რეალი) და ერლინგ ჰოლანდის (მანჩესტერ სიტი) პენალტები მოიგერია. მან 6-დან 5 თერთმეტმეტრიანი „ვალენსიას“ მაისურით ლა ლიგაში, ხოლო ერთი „ლივერპულის“ რიგებში პრემიერლიგაში მოიგერია – 0:3. რა თქმა უნდა, აქ მხოლოდ შიდა ჩემპიონატების შედეგები შედის, თორემ, ერთი თვის წინათ მამარდაშვილმა საქართველოს ნაკრებში ესპანელი ფერან ტორესის პენალტიც მოიგერია.

* * *

**არგენტინის** ეროვნული ნაკრებისა და „ინტერ მაიამის“ კაპიტანი **ლიონელ მესი** ბარსელონაში იმყოფება, სადაც „კამპ ნოუ“ მოინახულა. არგენტინელმა აღნიშნულთან დაკავშირებით სოციალურ ქსელში სურათები და ემოციური პოსტი გამოაქვეყნა.



**„გუშინ ღამით დავბრუნდი იმ ადგილას, რომელიც მთელი გულით მენატრება, ადგილას, სადაც უზომოდ ბედნიერი ვიყავი, სადაც თქვენ ყველამ ათასჯერ მაგრძნობინეთ თავი მსოფლიოში ყველაზე ბედნიერ ადამიანად. იმედი მაქვს, ოდესმე დავბრუნდები არა მხოლოდ დასამშვიდობებლად, არამედ როგორც ფეხბურთელი, რადგან აქედან წასვლა არასდროს მინდოდა...“**, – წერს სოციალურ ქსელში მესი.

შეგახსენებთ, რომ ლიონელ მესი „ბარსელონას“ მაისურით 2005-2021 წლებში თამაშობდა, არგენტინელმა 778 შეხვედრაში 672 გოლი გაიტანა და 303 საგოლე გადაცემა გააკეთა.

* * *

**ესპანეთის ლა ლიგა 2-ის მე-13 ტურში „კადისის“ ფეხბურთელმა იური ტაბატაძემ „ვალიადოლიდთან“ გოლი გაიტანა, რომელიც საეჭვო ვითარებაში გაუქმდა.**

ტაბატაძე არ იყო თამაშგარეში, მაგრამ ლაინსმენმა თამაშგარე დააფიქსირა, საქმეში VAR-იც არ ჩაერია და გოლი გაუქმდა. იურიმ ერთი შეხებით ძლიერად დაარტყა და მეკარე უშანსოდ დატოვა, მაგრამ გოლი უსამართლოდ გაუქმდა.

მთავარმა მსაჯმა ლუის სერვერამ განმარტა, რომ თამაშგარეში „კადისის“ ფორვარდი ალვარო გარსია პასკუალი იყო და „ვალიადოლიდის“ მცველს ბლოკავდა, რომელიც თავის მხრივ ტაბატაძისკენ მოძრაობდა, რათა მისთვის დარტყმაში ხელი შეეშალა. პასკუალი მართლაც იყო ოფსაიდში, მაგრამ რამდენად ბლოკავდა მეტოქეს და გავლენა ჰქონდა ეპიზოდზე, ძნელი სათქმელია.

**„არ ვიცი, გოლი რატომ არ ჩაითვალა. თამაშგარე არ იყო, მე გავჩერდი და მომენტში არ ვერეოდი, მცველმაც მოძრაობა გააგრძელა“,** – თქვა მატჩის შემდეგ პასკუალმა.

მსაჯი გააკრიტიკა „კადისის“ მთავარმა მწვრთნელმა გაისკა გარიტანომ, რომელმაც თქვა, რომ მსგავსი რამ არასდროს უნახავს: **„მსგავსი რამ არასდროს მინახავს. თამაშგარე მაშინაა, თუ ფეხბურთელი ბურთზე თამაშს აპირებს. წარმოუდგენელია, რომ VAR-ი არც კი ჩაერია“.**

საბოლოოდ, გოლი უსამართლოდ გაუქმდა და მატჩი 0:0 დასრულდა. „კადისისთვის“ ეს ზედიზედ მესამე ფრე იყო და 21 ქულით მეექვსე ადგილზეა.

შეგახსენებთ, რომ იური ტაბატაძეს ესპანურ კლუბში ჩატარებულ 12 მატჩში 4 გოლი აქვს გატანილი და ორჯერ საგოლე პასი გააკეთა.

# ქართული ხორბლის აღიარება

**არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს – „ქართული ხორბლის კულტურა: ტრადიციები და რიტუალები“ – საქართველოს მთავრობის 2024 წლის 27 მარტის N98 დადგენილებით ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია განესაზღვრა.**

საქართველოს მიერ იუნესკო-ს კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის წარმომადგენლობით ნუსხაში 2024 წლის 28 მარტს წარდგენილმა ნომინაციამ განხილვის პირველი ეტაპი წარმატებით გაიარა.

ნომინაციის შინაარსობრივი შეფასების მეორე ეტაპის გავლის შემდეგ, იუნესკო-ს მიღებულ დადებით დასკვნაში აღნიშნულია, რომ კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში ქართული ხორბლის კულტურის შეტანა ხორბლის შესახებ შემონახულ ტრადიციებთან დაკავშირებული კულტურული ფენომენის მიმართ ინტერესს გააძლიერებს. UNESCO ხაზს უსვამს, რომ აღნიშნული ელემენტი ხელს შეუწყობს სურსათის უსაფრთხოებას, გენდერულ თანასწორობას, ინკლუზიურ ეკონომიკურ განვითარებას, ეკოლოგიურ მდგრადობას, ასევე, მშვიდობისა და სოციალური ერთობის განმტკიცებას.

**კულტურის სამინისტრო – ქართული ხორბლის კულტურის იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შეტანის თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების პროექტი გამოქვეყნდა**




საბოლოო განხილვა იუნესკო-ს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მთავრობათაშორისი კომიტეტის მე-20 სესიაზე, 2025 წლის 8-13 დეკემბერს ინდოეთში, ქალაქ დელიში გაიმართება.

კულტურის სამინისტრო მადლობას უხდის პარლამენტის ვიცე-სპიკერ ნინო წილოსანს ამ საქმეში გაწეული ძალისხმევისთვის, საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო ნომინაციის მომზადებაში.

## სანთელი



თენგიზ, ქეთევან, ქეთი ქავთარაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ღირსეული და პატრიოტი პიროვნების

**ბორის (ბორია) სოლომონის ძე გოგიჩაიშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ელზა, სოფო, გივი და შალვა სამადალაშვილებს.

# ხვარაზმელების მიერ წამებული 100 000 წმინდანის ხსოვნის დღე



**13 ნოემბერს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს 100 000 წმინდანს, რომელნიც 1227 წელს ხვარაზმელებმა აწამეს.**

...ჟამთაღმწერლები მოგვითხრობენ, რომ ხვარაზმის სულთანი ჯალალედინი საქართველოს საზღვრებს მოადგა. მან ათაბეგ მხარგრძელს შესთავაზა: „აწ მნებავს, რათა შევერთნეთ მტკიცითა ფიცითა და ვბრძოლოთ მტერთა (მონღოლებს), რომელ მეფე თქვენი დედაკაცი არს, და მყოთ ქმარი მისი და მეფე თქვენ ზედა და ვძლოთ ყოველთა მტერთა ჩვენთა, უკუეთუ ესე არა ჰყოთ, მოოხრდეს სამეფო თქვენი.

...რუსუდანმა ავაგ მხარგრძელს უარი შეუთვალა. სულთანმა ლაშქარი თბილისისკენ დაძრა. ბრძოლის პირველ დღეს „ბრწყინვალე ძლევა აჩვენეს ქართველთა“, მაგრამ ღამით მტერი თბილისში აღმოჩნდა. სისხლის მდინარემ წალეკა ქალაქი, ქუჩები და მტკვარი გვამებით აივსო.

სულთანმა მოარღვევინა სიონის ტაძრის გუმბათი, გამოატანინა ტაძრიდან მაცხოვრისა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატები, დაასვენებინა ხიდზე და უბრძანა ქართველებს: „დათრგუნვა პატიოსანთა ხატთა და დატევება სჯულისა“. ვინც ამას არ აღასრულებდა, „წარკვეთა თავთა ელოდა“.

100 000 ქართველი შეეწირა ამ დღეს, წმინდა ხატების თაყვანისცემას და სარწმუნოების დაცვას.

**ერთ დღეს 100 000 წამებული – მსოფლიოში უპრეცედენტო ფაქტია! თბილისში, მეტეხის ხიდთან მათი ხსენება განსაკუთრებულ წირვალოცვით აღესრულა.**

გიული ლიპარტია

# ავტოსაგზაო შემთხვევებს 9 თვეში 345 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა!!!

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, 2025 წლის პირველ 9 თვეში 4 480 ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. ავტოავარიებში იანვრიდან სექტემბრამდე 345 ადამიანი დაიღუპა და 6 041 დაშავდა. დაღუპულთაგან 112 ქვეითად მოსიარულე იყო, 35 – ბავშვი.**

ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, ავტოსაგზაო შემთხვევების 26%, ანუ 1990 შემთხვევა, თბილისში მოხდა. დედაქალაქში ავარიების მსხვერპლთა რიცხვი 73-ია.

რეგიონებიდან ყველაზე მეტი ავტოსაგზაო შემთხვევა იყო აჭარაში, სადაც 499 ავარიას 46 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.



**შსს-ს მონაცემების მიხედვით, ქვეითად მოსიარულეზე (1385 შემთხვევა, 112 გარდაცვლილი, 1246 დაშავებული) ავტომობილის შეჯახების შემთხვევების რაოდენობა ორჯერ აღემატება ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობას მოტოციკლის მონაწილეობით (748 შემთხვევა, 20 გარდაცვლილი, 713 დაშავებული).**

**ოფიციალური სტატისტიკით, ავტოსაგზაო შემთხვევების მსხვერპლები უფრო ხშირად ხდებიან კაცები, ვიდრე ქალები – 2025 წლის პირველ 9 თვეში ავარიებში დაიღუპა 271 კაცი და 74 ქალი.**



# თურქული თვითმფრინავის ტრაგედია საქართველოს ცაში...

**მიმდინარე წლის 11 ნოემბერს, სიღნაღის მუნიციპალიტეტში, საქართველოს სახელმწიფო საზღვრიდან დაახლოებით ხუთ კილომეტრში, ჩამოვარდა თურქული სამხედრო თვითმფრინავი, რომელიც პირველადი ინფორმაციით, ასრულებდა რეისს აზერბაიჯანი-თურქეთის მიმართულებით, თვითმფრინავში, რომელიც ჩამოვარდა, 20 ადამიანი იმყოფებოდა, მათ შორის ეკიპაჟის წევრები,** – ამის შესახებ ნათქვამია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 275-ე მუხლის მე-4 ნაწილით მიმდინარეობს, რაც საჰაერო ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

**„მომხდართან დაკავშირებით დეტალურ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო საზოგადოებას ეტაპობრივად მიაწვდის“,** – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

# ილჰამ ალიევი – შეძრულები ვართ თურქეთის სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავის საქართველოში ჩამოვარდნით, რომლის შედეგადაც სამხედროები დაიღუპნენ

**საქართველოში** თურქეთის სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავის კატასტროფასთან დაკავშირებით აზერბაიჯანის პრეზიდენტი **ილჰამ ალიევი** თურქეთის პრეზიდენტს რეჯეფ თაიფ ერდოღანს სამძიმარს უცხადებს.

როგორც ალიევი აღნიშნავს, იგი უსამძიმრებს დაღუპულთა ოჯახებს, ნათესავებსა და თურქ ხალხს.



**„ჩვენ ღრმად შეძრულები ვართ განჯიდან გამოფრენილი თურქეთის სამხედრო-საჰაერო ძალების სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავის საქართველოში ჩამოვარდნის ცნობით, რომლის შედეგადაც დაიღუპნენ სამხედროები. ვიზიარებ თქვენს მწუხარებას ამ მძიმე წუთებში და ღრმა სამძიმარს გიცხადებთ პირადად ჩემი და აზერბაიჯანელი ხალხის სახელით თქვენ, გარდაცვლილთა ახლობლებს და ნათესავებს, ასევე თურქეთის მოძმე ხალხს“,** – ნათქვამია ალიევის განცხადებაში.

**ცნობისთვის, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, სიღნაღის მუნიციპალიტეტში, საქართველოს საზღვრიდან დაახლოებით 5 კილომეტრში ჩამოვარდა თურქული სამხედრო თვითმფრინავი, რომელიც, პირველადი ინფორმაციით, აზერბაიჯანი-თურქეთის მიმართულებით ასრულებდა რეისს. როგორც „საქაერონავიგაციაში“ აცხადებენ, შემთხვევის შესახებ ინფორმირებულია განჯის აეროპორტი და თურქეთი.**

**თურქეთის თავდაცვის სამინისტროც ადასტურებს, რომ საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე თურქეთის „C-130“-ის ტიპის სატრანსპორტო თვითმფრინავი ჩამოვარდა.**

### პოეტის ერთი ლექსი

# გამთლიანდი, საქართველო!!!

თავისუფალ მთებს და ველებს რომ უცინი ალიონო,
მინდა – შენი საუკვდავო სადღეგრძელო დალიონო!..

გარდმოვხსენით: ჯვარსგაკრული, წამებული საქართველო, –
სიკეთე და სიდიადე აქ ასხივო, აქ ართველო!..

სიყვარულმა, სიხარულმა – დილა, მუდამ, აქ ათენოს,
სავაზეთო, სავარდეთო, სადაფნეთო საქართველო!..

დარიანი დარიალი, საენგურო, სარიონო,
სამტკვარო და საალაზნო არასოდეს არიონო!..

სად არ კვესდა შენი ხმალი, სიმხნით სალო და თან ქველო,
გმირობის და სიმამაცის საკანდელო, საქართველო!..

კვლავ ასხივებს შარავანდი ამ ზეცის და ამ არისა, –
დროშა დაბლა არ დავხაროთ – დავითის და თამარისა!..

ორგულმა და მუხანათმა არასოდეს აღარ თელონ –
ლომების და არწივების სალაღობო საქართველო!..

ჯაჭვისპერანგგაუხდელო, ანგელოსთა აკვანმთელო,
გაბრწყინდი და გამზიანდი, გამთლიანდი საქართველო!!!..

**ფარნა რაინა**



# ოთარ ტატიშვილის ღვაწლის დაფასება

**თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ცნობილი ქართველი კომპოზიტორის ოთარ ტატიშვილის საიუბილეო შემოქმედებითი საღამო გაიმართა.**

მსმენელს საშუალება ჰქონდა, მოესმინა ქართველი ხელოვანის მიერ შექმნილი ჟანრობრივად განსხვავებული მუსიკის მდიდარი მემკვიდრეობიდან მასშტაბური სიმფონიური ქმნილებები, მსოფლიოში აღიარებული ქართველი და უცხოელი სოლისტების მონაწილეობით.

**ღონისძიების პროგრამაში იყო სავიოლინო კონცერტი, konzertstuck DEJA VU, ჩელოს კონცერტი, N1 სიმფონია. კომპოზიტორის საიუბილეო შემოქმედებითი საღამოსთვის პირველად საქართველოს ეწვივნენ ვიოლონჩელისტი გერმანიიდან, ალექსანდრ პირიევი და მევიოლინე ყაზახეთიდან აიდა აიუპოვა. შემოქმედებით საღამოში ასევე მონაწილეობდნენ ქართველი პიანისტი თამარ ლიჩელი და ოპერის ორკესტრი, მაესტრო დავით მუქერიას ხელმძღვანელობით.**

საღამოს დასასრულს, კომპოზიტორმა ოთარ ტატიშვილმა მადლობა გადაუხადა მაყურებელს, ოჯახს, ორგანიზატორებსა და მხარდამჭერებს.

**„სიამოვნებით შევქმენი სამნაწილიანი საკრავიერო კონცერტი. მსურდა, მუსიკითაც გადმომეცა ჩვენი ქვეყნის მდებარეობისა და მენტალიტეტისთვის მახასიათებელი ევროპულ-აღმოსავლური წინამძღვრები. ამიტომაც დაიტვირთა სამუსიკო ქარგა განსხვავებული შინაარსის თემებით“,** – აღნიშნა კომპოზიტორმა.



# პრემია „საგურამოსა“ და ილიას მედლის ახალი ლაურეატები

**ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმში ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 188 წელი აღინიშნა. თარიღთან დაკავშირებით, მუზეუმის ამოსასვლელში, ილიას განახლებულ სკვერში, საზეიმოდ გაიხსნა აკაკი წერეთლისა და გალაკტიონ ტაბიძის ბიუსტები.**

ტრადიციულად, დაჯილდოვდნენ პრემია „საგურამოსა“ და ილიას მედლის ლაურეატები:

პოეზია – **ია სულაბერიძე, საშა გველესიანი;**

პროზა – **გესო ხვედელიძე;**

კრიტიკა, პუბლიცისტიკა, დოკუმენტური პროზა – **თამარ გელიტაშვილი;**

საბავშვო ლიტერატურა – **თამარ ჯავახიშვილი;**

ხელოვნება – **ბადრი ქუთათელაძე;**

ჰუმანიტარული მეცნიერება – **მერაბ ბერიძე;**

თარგმანი – **დოდო ყვავილაშვილი;**

ილიას მედალი „მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა“ ქართული კულტურისა და სულიერების წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის გადაეცემა აკადემიკოს **დავით მუსხელიშვილს.**

# თბილისის ბაროკო ფესტივალის მე–11 სეზონი და მოცარტის პიანოფორტე საქართველოში

**12 ნოემბერს რუსთაველის თეატრის მცირე სცენა ისტორიულ კონცერტს უმასპინძლებს. მოცარტის პიანოფორტეს ზუსტ ასლს წარადგენს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ფორტეპიანოს მწარმოებელი – პოლ მაკნალტი.**

მანამდე კი „თბილისის ბაროკო ფესტივალის“ მე-11 სეზონი, 28 ოქტომბერს, ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში გაიხსნა კონცერტით – „ქართული და ევროპული ძველი მუსიკა“.

„საქართველოს სინფონიეტას“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, პირველ განყოფილებაში ფოლკლორულმა ანსამბლმა „შავნაბადამ“ ქართული ტრადიციული მუსიკის უძველესი ნიმუშები წარმოადგინა, ხოლო მეორე განყოფილებაში, მსოფლიოში აღიარებულმა კონტრტენორმა ანდრეას შოლმა, ცნობილმა იტალიელმა სოპრანომ ჯულია ბოლკატომ, „თბილისის ქალთა გუნდმა“ და „საქართველოს სინფონიეტამ“, კორნელია ფონ კერსენბროკის დირიჟორობით, ჯოვანი ბატისტა პერგოლეზის შედევრი – Stabat Mater შეასრულეს.

მეორე კონცერტი 9 ნოემბერს, რუსთაველის ეროვნული თეატრის სცენაზე ჩატარდა, სადაც „ჰელსინკის ბაროკოს ორკესტრმა“ იოჰან სებასტიან ბახის მუსიკა შეასრულა ქართველი მსმენელებისთვის.

**ფესტივალი გრძელდება და 12 ნოემბერს ისტორიული კონცერტი გაიმართება, სადაც მოცარტის პიანოფორტეს ზუსტ ასლს წარადგენს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ფორტეპიანოს მწარმოებელი – პოლ მაკნალტი.**

**ეს ისტორიული ინსტრუმენტი „საქართველოს სინფონიეტამ“ საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით შეიძინა და ის უკვე თბილისშია. „თბილისის ბაროკო ფესტივალის“ შემდეგი კონცერტები რუსთაველის ეროვნული თეატრის მცირე დარბაზში: 12, 18, 24, 27, 30 ნოემბერსა და 2 დეკემბერს გაიმართება. 7 დეკემბერს კი, ფესტივალი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში დაიხურება.**





# თბილისის ვოკალისტთა IV საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებულები ცნობილია

**თბილისის ვოკალისტთა IV საერთაშორისო კონკურსი – OPERA CROWN დასრულდა.**

პირველი პრემიის ლაურეატი კონსერვატორიის სტუდენტი **თათა რაზმაძე** გახდა, მეორე პრემიის მფლობელი – სამხრეთ კორეელი **სოკჩუნ კიმი,** ხოლო. მესამე პრემიის მფლობელი – ასევე კონსერვატორიელი, უკვე კურსდამთავრებული **ლინა წიკლაური**. კონკურსის ფარგლებში კონკურსანტებთან მუშაობდნენ ასევე კონცერტმაისტერები: **ირინა აივაზოვა, მარინა ადამიშვილი, ნინო ლეშკაშელი.**

კონკურსის საუკეთესო კონცერტმაისტერის პრიზი **ირინა აივაზოვას** გადაეცა.



საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაზელიძე, გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოგებჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში“**
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 14 ნოემბერს**